

ეკონომიკა

მთავრობა დეკლარატამ
თავს იმართლებს



ქართული მხარე, სამი ნავმისადგომის მართვის
უფლების უცხოური კომპანიისთვის გადაცემის
სანაცვლოდ, ყოველწლიურად შეიდ მილიონ
დოლარსა და მოგების 90 პროცენტს მიიღებს.

A4

საპარტალი

ერთიერთგაბგვის და
თანამშრომლობის
მეორანდში ადამიანის
უფლებების დარღვევის ფონზე



ადამიანის
უფლებების
დარღვევის
კუთხით სახალხო
დამცველის
აპარატს მკვეთრი
პოზიცია ჯერაც არ
დაუფიქსირებია.
არადა,
ამ პერიოდში
სხვადასხვა
არასამთავრობო
ორგანიზაციებმა
პოლიციელთა
კანონდარღვევების
ასობით ფაქტი
დააფიქსირეს.

A7

იურიდიული ოფისი „გაპი“
და გაზეთი “24 საათი”

ახორციელებს პროკესს,
რომლის მიზანსაც
ნარკოტრაფიკის
შესაწყობისათვის
საპარტალიანი
დახმარება.

A7

გაზეთი “24 საათის”
ანონსები შეგიძლიათ,
მოისმინოთ რადიო
“მწვანე ტალღის”
ეთერში,
FM 107.4

ადგილი	24/12	25/12
თბილისი	10	11
ქუთაისი	13	13
ბათუმი	14	14
სოხუმი	9	11
ფოთი	13	13
თელავი	9	10
ჯუბაღიდი	12	13
გორი	8	8
ახმეტა	9	9
ჟიჟთარა	10	10
ბაბრა	8	9
სამტრედია	13	13

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში	
აშშ დოლარი	1.8050
ევრო	2.4277
გირვანქა სტერლ.	3.4687
რუბლი	0.0648

ორმაგი სტანდარტის კარგი მაგალითი

ქართველი ექსპერტების შეფასებები პუტინის განცხადებებზე



ვლადიმერ პუტინი
ბოლშევიკი
ბელადის
თავდაქრებულობით
წარმართავდა
პრესკონფერენციას.

ინოვაციური

რუსეთის ფედერაციის
პრეზიდენტის პრესკონფერენციის ერთ-ერთი საკვანძო
საკითხი, მოლოდინისაგებრ,
კავკასიაში მისი პოლიტიკა

იყო. ბუნებრივია მნიშვნელოვანი
ადგილი დაიკავა საქართველოზე
საუბარმაც.
“ჩვენ საქართველოს ტერიტორიული
მთლიანობის
თეზისიდან ამოვდივართ, მაგრამ,
ამასთან, მივიჩნევთ, რომ
სადავო საკითხები მის ტერი-

ტორიაზე მცხოვრები ყველა
ერის ინტერესების გათვალისწინებით
უნდა გადაწყდეს,” –
განაცხადა მან და იქვე, ვითომდა
განმარტა, რომ რუსეთის
ყველა მოქმედება მიმართული
იყო აფხაზეთში ვითარების
მშვიდობიანი მოგვარებისკენ:

“ჩვენ საქართველოს წინააღმდეგ
არ ვმოქმედებთ, ჩვენ ვმუშაობთ,
რომ აფხაზეთსა და საქართველოს შორის
კონკრეტული, რთული პრობლემა
მოგვავართ.”

ბაზრძოლაბა A3 ბაზრძოლა

ინილო-ბინილო გოგა ხინდრავას შეფასება

ქართულ-ოსური კონფლიქტის
საკითხებზე მომუშავე
შერეული საკონტროლო კომისიის
თანათავმჯდომარეების
შეხვედრა სასტუმრო “მარიოტში”
გუშინ დასრულდა. შეხვედრის
შედეგებზე “24 საათმა” კომენტარი
სთხოვა ქართული მხარის წარმომადგენელს,
სახელმწიფო მინისტრს კონფლიქტების
დარეგულირების საკითხებში გოგა ხინდრავას:
“ძირითადი შედეგი გახლავთ ის,
რომ ჩვენ სულ სხვა კუთხით
მივუდევით იმ შეთანხმებებს,
რომლებიც დღემდე მხარეებს შორის
გათავებულ დავას და ინილობინილოს
ინევებს. საკითხი ამგვარად
დავაყენეთ: თუ რომელიმე მხარისთვის
მისაღები არ არის ესა თუ ის შეთანხმება,
ამის შესახებ საჯაროდ უნდა
გაცხადდეს და

მხარე შეთანხმებიდან გამოვიდეს.
იმ შემთხვევაში, როცა მხარისთვის
შეთანხმება მისაღებია, იგი ავტომატურად
ინარჩუნებს თავის ძალას და მხარე
ვალდებულია, შეთანხმება პირნათლად
შეასრულოს. არსებობს სხვადასხვა
წონითი კატეგორიის დარღვევები.
ხელშეკრულებისა და ვალდებულებებისადმი
ამგვარი დამოკიდებულებით ქართული
მხარე ყველაზე მეტად არის დაინტერესებული,
რადგან დარღვევები ოსური მხრიდან
ბევრად უფრო წონადია,” – დასძინა
ხინდრავამ ჩვენთან საუბრისას.

ქართულ-ოსური კონფლიქტის
დარეგულირების შერეული საკონტროლო
კომისიის
სხდომის მონაწილეებმა გუშინ ერთობლივი
განცხადება გააკეთეს. ისინი საქართველოს

პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიას და
თვითღარიგებული სახელმწიფო
ოსეთის რესპუბლიკის პრეზიდენტ
ედუარდ კოკოითს, 5 ნოემბერს
სოჭში მიღწეული შეთანხმების შესასრულებლად,
სხვადასხვა უწყებების კოორდინირებული
მოქმედების უზრუნველყოფისკენ
მოუწოდებენ.

შერეული საკონტროლო კომისიის
თანათავმჯდომარეები შეშფოთებას
გამოთქვამენ კონფლიქტის ზონაში
არსებული ვითარებისა და დემილიტარიზაციის
შესახებ 5 ნოემბერს სოჭში მიღწეული
შეთანხმების შეუსრულებლობის გამო.

გუშინვე შერეული საკონტროლო
კომისიის თანათავმჯდომარეები
კანცელარიაში სახელმწიფო მინისტრ ზურაბ
ჟვანიასაც შეხვდნენ. “ამ შეხვედრაზე
ზურაბ ჟვანიამ

პრინციპულად დააყენა ქართული
მხარის პრეტენზიები. მან აღნიშნა,
თუ რას ველოდებით ჩვენ ცხინვალის
დეფაქტო ხელისუფლებისგან, რა
იქნება ჩვენთვის ნიშანი იმისა,
რომ ოსური მხარე მზად არის
დემილიტარიზაციისა და მშვიდობიანი
მეთოდებით საკითხის მოსაგვარებლად,” –
განაცხადა ხინდრავამ ჩვენთან
საუბრისას.

სახელმწიფო მინისტრის თქმით,
ქართული მხარე ასევე პრინციპული
იქნება ედუარდ კოკოითთან
შეხვედრისას. დღეს 12 საათზე
შერეული საკონტროლო კომისიის
თანათავმჯდომარეები სამხრეთ
ოსეთის თვითგამოცხადებული
რესპუბლიკის პრეზიდენტს
ედუარდ კოკოითს ცხინვალში
შეხვებიან.

24 საათი

ინყაბა ხელმოწერის
კამპანია გაზეთ
"24 საათზე"

იკითხეთ "24 საათი" და
თქვენ გაქნებათ პოზიცია!

რედაქციის მისამართი:
ვაჟა ფშაველას №45
ტელ 20 24 24

ხელმოწერის ფასები:
1 თვით 13 ლარი;
3 თვით 39 ლარი;
6 თვით 78 ლარი;
ერთი წლით 156 ლარი.

ყურადღება!
თუ ხელშეკრულება გაფორმდება
უშუალოდ რედაქციასთან, ხელმოწერი
მიიღებს შემდეგ შეღავათებს:
6-თვიან ხელმოწერაზე 10 პროცენტი
ფასდაკლება, ანუ 78 ლარის
ნაცვლად, 70.20 ლარი;
ერთწლიან ხელმოწერაზე 20
პროცენტი ფასდაკლება, ანუ 156
ლარის ნაცვლად, 124.80 ლარი.

ტრაგედია ბურჯანში

სტატისტიკური მონაცემებით, გურჯაანის რაიონში ერთი წლის განმავლობაში თერთმეტი შემზარავი მკვლელობა მოხდა. აქედან ოთხი ბოლო ერთი თვის მანძილზე დაფიქსირდა. სამართალდამცველებმა ჩადენილი დანაშაულებიდან მხოლოდ ექვსის გახსნა მოახერხეს, ხუთი შემთხვევა კვლავ ძიებაშია. ამ ციფრებს სოფელ კარდენახში მომხდარი კიდევ ერთი საბინოლო ფაქტი დაემატა.

სოფელ კარდენახში მცხოვერებმა ვახტანგ ჩალათაშვილმა საკუთარი შვილი, 44 წლის ტარიელ ჩალათაშვილი სახლის ეზოში დამარხა. ვახტანგ ჩალათაშვილი მკვლელობის ფაქტს უარყოფს და აცხადებს: "ტარიელმა მინა საღამოს ბევრი დღლია და დაიძინა. დილას კი საწოლში გარდაცვლილი ვნახე. მისი დამარხვის სამუალებმა არ მქონდა, ამიტომ დილაადრიან ყელზე თოკი მოვაბი, რადგან მის ხელში აყვანას ვერ შეეძლებდი, ეზოში გამოვთარიე, იქვე მის ძირში, ხელით მინა ამოვიჩიქენე და დავასაფლავე," - ამბობს დანაშაულში ეჭმიტანილი ვახტანგ ჩალათაშვილი.

როგორც ჩალათაშვილების ახლობლები ამბობენ, ტარიელის გაუჩინარება მათ საეჭვოდ მოეჩვენათ, მომხდარის შესახებ კი მას შემდეგ გაიგეს, როცა მამას შვილის ადგილსამყოფელის შესახებ იძულებით ათქმეინეს: "ტარიელი რამდენიმე დღე არ გამოჩენილა, მამამისს მისი ამაზეა რომ ვკითხეთ, გვითხრა, გარდაიცვალაო. თავიდან გვეკონა, რომ ზუმრობდა, მაგრამ მისი სახლის ეზოში ამაზრზენი სურათი დაგვხვდა. გარდაცვლილის ცხედარს მინა და ფოთლები ყყარა," - ამბობენ ჩალათაშვილების ნათესავები, რომლებიც იმასაც აღნიშნავენ, რომ მამა-შვილი სახლში მარტო ცხოვრობდა და ყოველდღე სვამდნენ.

ზვიად რუაძე
კახეთიდან

დაპირისპირება ტაქნიკურ უნივერსიტეტში



სტუდენტური დამპირსირების სენი ტექნიკურ უნივერსიტეტსაც მოეძო.

გუშინ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სტუდენტური კავშირის ალტერნატივა, "სტუდენტური თვითმმართველობა" დაფუძნდა. ახალდაფუძნებული ორგანიზაციის წევრები ტექნიკურ უნივერსიტეტში "ევროპული სტილის სტუდენტური ცხოვრების" შემოტანას გეგმავენ. ამ სახელის სტუდენტებს შორის დაპირისპირება და უთანხმოება უკვე წარმოქმნა.

- რა პრინციპით დაარჩეთ, ძმაო, მოსაწვევები, ან რა უფლება გაქეთ, რომ არ მიშვებთ დარბაზში?

-თქვენ ცდილობთ პრეზენტაცია ჩაშალოთ, გასაგებათ ვის დაკვეთას ასრულებთ!

ასეთი საუბარი შედგა გუშინ ტექნიკური უნივერსიტეტის სააქტო დარბაზთან, სადაც სტუდენტურეფერლები დარბაზში შედევას ცდილობდნენ. ნახევარსაათიანი ხმაურის შემდეგ, დარბაზის კარი ფართოდ გააღეს და "სტუდენტური თვითმმართველობის" პრეზიდენტმა გიორგი დარჩიამ დარბაზში შესულ სტუდენტური კავშირის თავმჯდომარეს ლევან ჯაფარიძეს სიტყვა მისცა.

"**ნუ დავმსგავსებით უნივერსიტეტს, სადაც სტუდენტები ერთმანეთს უპირისპირებიან. მე მივესალმები ისეთი ორგანიზაციის ჩამოყალიბებას, რომელიც საქართველოს გაზოადებაა.**" - მოუწოდა მეგობრებს ჯაფარიძემ და დარბანი სასწრაფოდ დატოვა.

ტექნიკურ უნივერსიტეტში ახალგაზრდები სხვადასხვა პო-

ზიციებზე დგანან. ზოგიერთმა სტუდენტმა ახალ ორგანიზაციას სტოლის ინტერესების გამტარებელიც უწოდა. თვითმმართველობის დამფუძნებლები კი მიიჩნევენ, რომ ისინი არავის ეჯიბრებიან და მათ მიზანს დაპირისპირება სულაც არ წარმოადგენს.

"**ჩვენი პრიორიტეტებია: განათლება, გაცვლითი პროგრამების ამოქვეყნება, კარგი, ევროპული დონის გარეობა და სტუდენტთა დასაქმებისათვის ხელშეწყობა. ჩვენ შევქმნით ანტიკორუფციულ საბჭოს და ინფორმაციულ ბანკს, სადაც ინტერესტუალი სტუდენტების მონაცემები შევა. თვითმმართველობა განხორციელება დემოკრატიულ პრინციპებზე დაყრდნობით და ის იქნება სრულად არაპოლიტიზებული,"** - აღნიშნა თავის გამოსვლაში სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტმა გიორგი დარჩიამ, რომელიც ამ ორგანიზაციის ჩამოყალიბებაზე, თავადაც სტუდენტური კავშირის წევრი იყო.

თამარ დვალის

„ი6 ტა ვი“-ს ინფორმაცია: თავად რუსი მისაზღვრეები უარყოფენ

აცხადებენ საქართველოს საზღვრის დაცვის დეპარტამენტში

საქართველოს საზღვრის დაცვის დეპარტამენტი უარყოფს მასობრივი ინფორმაციის სამუალებებით გავრცელებულ ინფორმაციას, თითქოსდა რუსეთ-საქართველოს საზღვარზე რუსმა სამხედროებმა მოკლეს შეიარაღებული ჩეჩენი, რომელსაც ჩეჩენეთსა და ინგუშეთში განხორციელებული ტერაქტების დოგორჩანაწერები აღმოუჩინეს. როგორც საზღვრის დაცვის დეპარტამენტის პრესამსახურში "24 საათს" განუცხადეს, მათი უწყება დაუკავშირდა საზღვრის დაცვის ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონულ სამმართველოს, რომლის ოპერატიულმა მორიგემ უარყო საზღვარზე ლიკვიდაციის განხორციელებ

24 საათი

ეროვნულ ბანკზე რომან გოცირიძის "თავდასხმა" წარუმატებელი გამოდგა



რომან გოცირიძის მომზადებული შეტევა წარუმატებელი აღმოჩნდა.

ლიპაზა ხარაილიძის ფოტო

პირველი გვერდიდან

მოინდომა მისთვის სამაგიეროს გადახდა - იგი გაჩენილადეს კონფიდენციალური სატელეფონო საუბრის გამჟღავნებით დაგეჟქრა. რადგან გაჩენილადე გაჩერებას არ აპირებდა, გოცირიძემ მუქარა აღასრულა: მისი თქმით, ვაკის მაჟორიტარი დეპუტატი იმით არის უკმაყოფილო, რომ ეროვნული ბანკის უფდიტის კონკურსში გაჩენილამისთვის არასასურველმა ფირმამ გაიმარჯვა.

თუმცა, ლევან გაჩენილაძე გუშინ ნამდვილად არ ყოფილა რომან გოცირიძის დარტყმის მთავარი ობიექტი. საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის კრიტიკა, ძირითადად, ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობის წინააღმდეგ იყო მიმართული.

გოცირიძის თქმით, ეროვნული ბანკი ყოველთვის დახურულ სისტემას წარმოადგენდა და ამის ახსნა იმით ხდებოდა, რომ ეროვნულ ბანკზე აუგის თქმას ქვეყნისთვის უარყოფითი ფისკალური შედეგების მოტანა შეეძლო. "**ამის გამო სტრუქტურის შიგნით არსებული ბევრი ნაკლოვანება იქმნალებოდა,**" - ამტკიცებს პარლამენტარი.

ეროვნული ბანკის ნაკლოვანებებზე საუბრისას კი გოცირიძე ექცნტს იმაზე აკეთებს, რომ სახაზონო ვალდებულებებით ვაჭრობა ხშირად ფარულად ხდებოდა და განცხადებზე პრესაში საერთოდ არ ქვეყნდებოდა. როგორც დეპუტატი აღნიშნავს, ასეთი ფაქტები მსოფლიო ბანკის ტექნიკური ჯგუფის მასალებშიც არის დაფიქსირებული.

"**უკეთეს შემთხვევაში, განცხადებები ღამით კეთდებოდა, მეორე დღით კი ვაჭრობა იმართებოდა. არავითარი გამართლება არა აქვს იმას, რომ ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის შესახებ საზოგადოებისთვის რამდენიმე დღით ადრე არ იყო ცნობილი,**" - კატეგორიულად რომან გოცირიძე.

იგი ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობას კანონის დარღვევაშიც აღდანაშაულებს: კომიტეტის თავმჯდომარე ირწმუნება, რომ როდესაც ბაზარზე დიდი ოდენობის ლარის მასა გამოჩნდა, ეროვნულმა ბანკმა, "საპასუხოდ", 5 მილიონი დოლარი გაყიდა. "**თავისთავად, ეს სწორი ნაბიჯი იყო, მაგრამ ეროვნულ ბანკს ამის უფლება არ ჰქონდა,**" - აცხადებს გოცირიძე.

დეპუტატის მორიგი საყვედურის არსი შემდეგში მდგომარეობს: ბანკების სანესდებო კაპიტალის თანხა ამჟამად 5 მილიონი ლარია, ეროვნული ბანკი კი ითხოვს მის 7,8 მილიონამდე გაზრდას. "**ეს არაერთი საშუალო ბანკის დახურვას გამოიწვევს, რისთვისაც პასუხისმგებლობა ეროვნულ ბანკს კი არა, პარლამენტს დაკისრება,**" -

კოლეგებს სიფხიზლისკენ მოუწოდებს რომან გოცირიძე.

გუშინდელ სხდომაზე ის ეროვნული ბანკის წარსულ "შეხენელ საქმეებსაც" გადასწვდა. კერძოდ, განიხსნა, რომ ეროვნულმა ბანკმა ვახტა გარანტიები გახმაურებულ "სოკოს საქმეზე", რამაც თავად ბანკი 8 მილიონი დოლარით აზარალა.

რომან გოცირიძის კრიტიკულმა პათოსმა დეპუტატები ძალიან გააოცა. ზურაბ ტყემალაძე აღსატურებს, რომ "**ეროვნული ბანკის დღევანდელ შემადგენლობას ყოველთვის ტაშს უკრავდნენ**" და ამდენად, მისთვის გაუგებარია კოლეგის მტკიცება, რომ შემდგომი 7 წლის განმავლობაში იგივე ხელმძღვანელობას არავინ ისურვებს.

"**თუ კარგად მუშაობენ, არ მემისი, რატომ არ უნდა დავუჭირო ძველ გუნდს მხარი?**" - გაკვირვებით კითხულობს "მემარჯვენე ოპოზიციის" ერთ-ერთი ლიდერი.

აღსანიშნავია, რომ ირაკლი მანაგაძეს საპარლამენტო უმრავლესობაშიც ძალიან ბევრი მომხრე აღმოაჩნდა. მეტიც, მის წინააღმდეგ პარლამენტის გუშინდელ სხდომაზე სიტყვაც არავის დაუძრავს. ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მისამართით უფრო მადლობები ისმოდა.

"**გარდების რევოლუციის დროს შეიძლება ლარის კურსი ძალიან დაცემულიყო. ეს რომ არ მოხდა, ირაკლი მანაგაძის დამსახურებაა,**" - აცხადებს ელენე თევდორაძე.

"**ძველი, შევარდნაძის დროინდელი სტრუქტურებიდან მხოლოდ ეროვნული ბანკის პრეზიდენტს არ შევხებოვართ და ეს იმიტომ მოხდა, რომ ირაკლი მანაგაძე უწესიერესი პიროვნებაა. იგი მხოლოდ ქებას იმსახურებს,**" - გოცირიძის რისხვის ობიექტს მეორდით ეფარება ფრაქცია "მაჟორიტარის" თავმჯდომარე ბესო ჯუღელი.

თუმცა, მანაგაძეს დეპუტატებში თანადგომა სულაც არ სჭირდებოდა. გოცირიძის ბრალდებებს, რომელსაც ის "სუბიექტურად" მიიჩნევს და "ფაქტებით მანიშულირებას" უწოდებს, თავად გასცა ამომწურავი პასუხები.

პირველ რიგში, იგი ოპონენტს იმას შესახსენებს, რომ ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის შემუშავება მას (მანაგაძეს) ევალება და არა საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარეს.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტს ძალიან აოცებს, რომ მომავალი წლის ფისკალურ პოლიტიკაზე საუბრის სანაცვლოდ (როგორც ამას დღის წესრიგი ითვალისწინებდა), გოცირიძე, ძირითადად, წარსულს ეხება.

"**მე მეგონა, რომ დღევანდელ სხდომაზე მომავლის შესახებ უნდა გვესაუბრა, წარსულზე კი მამ-**

ინ, როდესაც წლიურ ანგარიშს წარმოვადგენდი," - შეინიშნავს ირაკლი მანაგაძე. გუშინ მისთვის ისიც აღმოჩნა გამოდგა, რომ "**ზოგიერთ პარლამენტარს დოლარის ზედი უფრო აელევებს, ვიდრე ლარის.**"

"**თუ მიგაჩნიათ, რომ ლარის კურსის გამყარების პროცესის შეჩერება თქვენი საკომიტეტო მისმენების წყალობით მოხდა, მაშინ ეს სხდომები რაც შეიძლება ხშირად ატარეთ და ამით ლარის სტაბილურობა შეინარჩუნეთ,**" - ირონიულად ურჩევს მანაგაძე გოცირიძეს და იქვე დასძენს, რომ "**არანაირი სურვილი არა აქვს, ეროვნული ვალუტა კუპონს დაემსგავსოს.**"

ამ რეკლიკას, ალბათ, ვრცელი განმარტება არ სჭირდება. როგორც ცნობილია, კუპონის გაუფასურება რომან გოცირიძის ვიცე-პრემიერობის პერიოდზე მოიღის.

რაც შეეხება სახაზინო ვალდებულებებით ფარულ ვაჭრობას, ირაკლი მანაგაძე აღნიშნავს, რომ ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის დღეს ფინანსთა სამინისტრო ადგენდა და როგორც კი ამ ინფორმაცია ეროვნული ბანკი იღებდა, ოპერატიულად აქვეყნებდა პრესაში.

"**თუ ფინანსთა სამინისტრო ინფორმაციის მონოღებს გვიგვიანებდა, ამაზე ჩვენ არა ვართ პასუხისმგებლები,**" - კრიტიკის გადახისამართებას ურჩევს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი რომან გოცირიძეს.

პასუხაუცემელი არც ბანკების სანესდებო კაპიტალის გაზრდის თემა დარჩა.

"**სუსტი ბანკების შენარჩუნება ჩემი მიზანი ნამდვილად არ არის. პირიქით, უნდა მოხდეს ბანკების გამსხვილება, კონსოლიდაცია, რაც მოსახლეობის ინტერესებს შეესაბამება,**" - აცხადებს ირაკლი მანაგაძე.

გუშინ მანაგაძე გოცირიძეს ერთდერით საკითხში დაეთანხმა: "სოკოს საქმით" ეროვნული ბანკი 8 მილიონი დოლარით დაზარალდა. ოღონდ, აქ ერთი "დაზუსტებაა" საჭირო - როდესაც ეს ფინანსური მაჩინაცია მოხდა, ირაკლი მანაგაძე ეროვნული ბანკის პრეზიდენტი არ იყო და, ექედან გამომდინარე, გარანტიები მას არ გაუტია.

როდესაც დიანახა, რომ ეროვნული ბანკის პრეზიდენტთან დებატებში დამარცხდა, რომან გოცირიძემ შეტევის მიმართულება შეცვლა - მან საპარლამენტო კომისიის წევრებსა და აუდიტურ ფირმებს შორის გარეგნებზე მინიმენტების გაკეთება დაიწყო. თუმცა, როგორც ჩანს, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე გუშინ ცუდ ფეხზე იყო ამდგარი: დეპუტატებმა ბრალდების სიღრმეში ჩაძიება არ ისურვეს.

მოკლად

რუს სამშვიდობოთა სარდალი ურთიერთსაწინააღმდეგო განცხადებებს აკეთებს

ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონის სოფელ ერგნეთის მიმართულებით 22 დეკემბრის განხორციელებულ სროლებზე, რომელსაც ერთ-ერთი ქართველი მოსახლის საცხოვრებელი სახლის დაზიანება მოჰყვა, კომენტარი გააკეთეს ქართული და ოსური მხარეების წარმომადგენლებმა, აგრეთვე - შერეული სამშვიდობო ძალების სარდალმა.

როგორც კონფლიქტების მოწესრიგების საკითხებში სახელმწიფო მინისტრი გიორგი ხაინდრავა აცხადებს, ასეთი პროვოკაციები კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ არიან ძალები, რომლებსთვისაც სამშვიდობო პროცესის წარმატებით განვითარება და შერიგების პროცესი კარიერის დასასრულია. "ქართულ მხარეს პირველი როგის ამოცანად სწორედ ამიტომ მიაჩნია კონფლიქტის ზონის დემოილტარიზაციის პროცესის განხორციელება. ასეთი წერილ-წერილი პროვოკაციები ყოველთვის ხდება, თუმცა ეს პროვოკაციები ადგილობრივი მოსახლეობისთვის უმნიშვნელო სულაც არ არის," - აღნიშნა ხაინდრაძემ.

ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლების განსაკუთრებულ საკითხთა მინისტრი ზორის ჩოჩიევი უარყოფს ერგნეთის ინიცდენტში ოსური მხარის მონაწილეობას. მისი თქმით, მართალია, დამნაშავეს ეროვნება არ აქვს, მაგრამ, ფაქტია, რომ სწოლა საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მოხდა, რამაც ოსური მხარე დამნაშავე ვერ იქნება.

ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში გაზღაგებული შერეული სამშვიდობო ძალების სარდალი მარტ ჟულანმეტუი, თავდაპირველად, საერთოდ უარყოფდა ერგნეთში სროლის ფაქტს, შემდეგ კი ვანაცხადა, რომ ისროდნენ როგორც ოსური, ისე ქართული მხრიდან და ამას პერიოდული სახით აქვს. მისივე თქმით, გარკვეულ ძალებს სამშვიდობო პროცესის ჩაშლა სურთ, თუმცა ვის გულისხმობს ამ ძალებში, კულანმეტუის არ დაუკონკრეტებია. **მედი-ნოუსი**

უმაღლესი საბჭოს ოპოზიციურ ფრთას ატარის 2005 წლის ბიუჯეტის ჩაგდება სურს

აჭარის უმაღლესი საბჭოს ოპოზიცია უმრავლესობას სახელისუფლებო კრიზისის შექმნისკენ მოწოდებს. "რეპუბლიკელი" ჟურნალ დღემაბად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2005 წლის ბიუჯეტის ჩაგდების ინიციატივით გამოდის. მისი განცხადებით, ბიუჯეტის ჩაგდების შემდეგ ცენტრალური ხელისუფლება რეგიონის პრობლემებში უფრო მეტად დაინტერესდება. დუმბაძის განმარტებით, რეალურად, აჭარის ბიუჯეტი არა 95, არამედ 23 მლნ ლარია და დანარჩენი თანხა, ტრანსფერის სახით, ცენტრალური ბიუჯეტიდან უნდა გადაირიცხოს. "23 მლნ ლარს ამაშიმის ხელსაფლებმა რესტორანში ერთ დღეში ხარჯავდა," - აცხადებს დუმბაძე.

აჭარის 2005 წლის ბიუჯეტი უმაღლესმა საბჭომ მომავალ კვრაში უნდა დაამტკიცოს. **ინტერ-პრესი**

ორი სიტყვით

გორი. თბილისში მიმდინარე შერეული ოთხმხრივი საკონტროლო კომბო-სი ოპერაბიანი სხდომის ფონზე, ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი ტერიტორიიდან ქართული სოფლის, ერგნეთის მიმართულებით 22 დეკემბრს, ღამით ცეცხლი კვლავ გაიხსნა.

სოფლის შედგად კასრადეების საცხოვრებელი სახლის სახურავი დაზიანდა. "ა-კ-ა-ს"-ის ტიპის ავტომობილი ცეცხლასაბოლი იარაღის ტყვიამ საცხოვრებელი სახლის მეორე სართულზე იმ ოთახშიც შეაღწია, სადაც ოჯახის წევრები და მეცერენლოები ბავშვი იწყობოდნენ. სტუდენტის დაზიანება არავის მოუღია. კასრადეების საცხოვრებელი სახლი ცხინვალის ადმინისტრაციული საზღვრიდან დაახლოებით 400-500 მეტრში მდებარეობს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■
მარნეული. საქართველოს შეიარაღებული ძალების მარნეულის სამხედრო აეროდრომზე, სადელიამბოს და რთულ მეტეოროლოგიურ პირობებში ფრენის უზრუნველყოფისთვის, ნატოს სტანდარტების შესაბამისი სისტემები დამონტაჟდა. მოდერნიზებული აეროდრომი მაბათს საზეიმო ვითარებაში გაიხსნება.

აეროდრომის მოდერნიზაცია საქართველოსა და თურქეთის სამხედრო თანამშრომლობის პროგრამის ფარგლებში განხორციელდა, რისთვისაც თურქეთის მთავრობამ მთლიანობაში 2 მილიონ დოლარზე მეტი გამოყო. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■
თბილისი. საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების წინააღმდეგ ერთიანდებიან. "ნინი საქართველო" - ასე ეწოდება ახალ საზოგადოებრივ მოძრაობას, რომლის საინიციატივო ჯგუფის წევრებს შორის არიან გავთი "ჯორჯიან თაიმისს" გამომცემელი მაღლაზ გულაშვილი, აკადემიკოსი მიხეილ ქურდიანი, ყოფილი პარლამენტარები ირაკლი ბათიაშვილი და გიორგი კობახიძე, ჟურნალისტი მარკ როგია, უნივერსიტეტის პროფესორი ზაზა სიამაშვილი, ექსპერტი კაკაბისის საკითხებში მამუკა არემიძე, იმერეთში პრეზიდენტის ყოფილი რწმუნებული თეიმურაზ მაიაშვილი, შწრალი გურამ დონაშაშვილი. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■
თბილისი. რუსეთს სურს თუ არ სურს, აფხაზეთი საქართველოს იური-სდიქციაში მაინც დაეუბნებება, - განაცხადა სახელმწიფო მინისტრმა ევროსტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში გიორგი ბარამიძემ რუსეთის პრეზიდენტის დღევანდელ განცხადების კომენტარისას. ბარამიძე აქვე აღნიშნა, რომ საქართველოს ხელისუფლება დღეს ფეხზე დგება და მისი სწორი პოლიტიკითა და საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით აფხაზეთს მაინც დაიბრუნებს. **ინტერ-პრესი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მისპაპირ რამდამტპირნი მამუკა ფაჩუაშვილი. პაბატა ევმპაიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლევაკა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებამპი: დედაქალაქი - დავით მალრძე, ლტერატურა - მალხაზ ხარბელია, სამყარო - ქიქოევან საბდოშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ჰიბინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - ნინო ნარჩენაშვილი, საბავშვო - ვალერი ჯინჭაძე. ფშშტ: ზესო გულაშვილი (მენეჯერი). დშზაშინი: გიორგი ხმაღაძე, ავთო მარგაძეძე კშშაშინტარშული ცანტტარს: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა ნიქარშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი მაღულაშვილი, თენგიზ ქირია, პაბატა ქორიძე. სტშშშ: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტრიაძე, ხაიუნა გოგუაშვილი, ძიძია მწელაძე, ლია თოფურია, რკამაშაძე - ზურაბ ჯაოშვილი.

ოპონენტებმა

რომ თავში

არ შემოირიქნა

რამდენიმე მნიშვნელოვანი ობიექტის პრევატიზაცია დასკნით ფაზაში შედის. როგორც საქართველოს პრემიერ-მინისტრი აცხადებს, ეს საშუალებას მოგვცემს, მომავალი წლის განმავლობაში საბოლოოდ მოვაწესრიგოთ ქართული ენერგეტიკის მდგომარეობა, საქართველოს მთელს ტერიტორიაზე შევაკეთოთ გზები და წყალსადენები და ასევე, განვახორციელოთ სხვა გეგმები, რომლებიც საქართველოს მთავრობას "პუნქტებად აქვს გაუქრილი."

სოფო ბაჰია

თუ თქვენ ბევრი ფული, შე- საბამისი სინეესტიციო გეგმა და, რა თქმა უნდა, სურვილი გაქვთ, არ არის გამორიცხული სწორედ თქვენ გახდეთ ს/ს "ჭია-თურმანგანუშისა" და "ვარციხე-პეისს" კასკადის ინვესტორი, რომელსაც საქართველოს მთავ-რობა ეძებს.

იქნაეთ, ს/ს "ჭიათურმანგა-ნუშისა" და "ვარციხეპეისს" კას-კადის პრევატიზაციით დაინტე-რესებულ ინვესტორებს საქართ-ველოს მთავრობა ვადას 2005 წლის 10 იანვრამდე აძლევს. პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიას განცხადებით, საქარო-ველოს მთავრობა აღნიშნული ობიექტების გაყიდვასთან დაკა-ვშირებით მოლაპარაკებებს პო-ლო სამი დღის განმავლობაში ენ-ერგოულად ანარმოებდა, რომე-ლთა შედეგად სამი უცხოური – ავსტრიული, უკრაინული და ყა-ზახური კომპანიები გამოიკვეთა.

მისივე თქმით, ცნობილ უკ-რაინულ და ყაზახურ კომპანიე-თან მოლაპარაკებები უკვე დას-რულდა. ისინი მზად არიან, ჭია-თურმანგანუშისა და ვარციხეპე-სის შესაძენად 100 მილიონი დო-ლარი გაიღონ. თუმცა, ყურა-დღება ავსტრიულ კომპანიაზე შეჩერდა, რომელმაც ასევე 100 მილიონი დოლარის გადახდის მზადყოფნა გამოთქვა. როგორც პრემიერი აცხადებს, მომავალმა ინვესტორმა **"თავისი განზრახ-ვების სერიოზულობის დანამტ-კიცებლად უკვე მოახდინა ათი მილიონის დეპონირება."**

ს/ს "ჭიათურმანგანუშისა" და "ვარციხეპეისს" კასკადის პოტენ-ციური ინვესტორთა განცხადე-ბი 10 იანვრამდე მიიღება, 11 იან-ვარს კი წინადადებთა პაკეტები საჯაროდ, ჟურნალისტების თან-დასწრებით გაიხსნება და იქიდან საუკეთესო შეირჩევა. პრემიერის თქმით, საუკეთე-სო წინადადება, პირველ რიგში, გულისხმობს თანხას, რომელიც ბიუჯეტში პრევატიზაციის შე-დეგად უნდა შევიდეს, ასევე საი-ნვესტიციო გეგმასა და მუშახე-ლის დასაქმებას.

"ვისაც სურვილი აქვს, გა-მოგვეხმაროს," - განაცხადა ჟვანიამ გუშინ საგანგებოდ გამა-რთულ პრესკონფერენციაზე. კვლავ აქტუალური რჩება "საოკეანო სანაოსნოსა" და დაე-წინააღმდეგება პრევატიზაციის პროცესის გან-ხორციელებისას არ იყენებს ქვე-ყანაში კორპორაციული კაპიტა-ლის შემოსვლის შესაძლებლობ-ას და უპირატესობას კანონმითა ერთი კონკრეტული კომპანიისა-თვის მიყიდვას ანიჭებს. ამის შე-სახებ პრაიმ-ნიუსს ეკონომიკა-რმა ექსპერტმა სანდრო თვალჭ-რელიძემ განუცხადა. მისი მოსაზრებით, საპრევა-ტიზაციო ობიექტების ნუსხაში შეტანილი საწარმოების ცალკე-ული აქციების გაყიდვა სახელმ-ნიფოსთვის და საშუალო და მცო-რე ბიზნესის წარმომადგენლები-სთვის უფრო მომგებიანი იქნე-ბოდა.

მთავრობა კორკორაციული კაპიტალის შემოსვლის შესაძლებლობას არ იყენებს

საქართველოს მთავრობა პრევატიზაციის პროცესის გან-ხორციელებისას არ იყენებს ქვე-ყანაში კორპორაციული კაპიტა-ლის შემოსვლის შესაძლებლობ-ას და უპირატესობას კანონმითა ერთი კონკრეტული კომპანიისა-თვის მიყიდვას ანიჭებს. ამის შე-სახებ პრაიმ-ნიუსს ეკონომიკა-რმა ექსპერტმა სანდრო თვალჭ-რელიძემ განუცხადა. მისი მოსაზრებით, საპრევა-ტიზაციო ობიექტების ნუსხაში შეტანილი საწარმოების ცალკე-ული აქციების გაყიდვა სახელმ-ნიფოსთვის და საშუალო და მცო-რე ბიზნესის წარმომადგენლები-სთვის უფრო მომგებიანი იქნე-ბოდა.

"პრევატიზაციის სახელმწი-ფოს მიერ არჩეული ფორმით განხორციელება საშუალო და

სამკურნალო ცენტრი „ასპინძა“ ააჲქიონოზა გაიყიდა

ქრონიკულ დაავადყოფთა ბა-ლნეოლოგიური მეკურნალობისა და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი "ასპინძა" 27 დეკემბერს აუქციონის წესით გაიყიდა.

როგორც "პრაიმ-ნიუსს" ეკო-ნომიკური განვითარების სამინი-სტროში განუცხადეს, აუქციონ-ზე გამოტანილი ობიექტის სა-ნფისი ფასი 14 ათას 818 აშშ დო-ლარია. აუქციონი დაბა ასპინძა-ში ჩატარდება.

აუქციონის პირობების თანა-ხმად, ცენტრის მყიდველს 5 წლის განმავლობაში სამკურნა-

ლო დაწესებულების პროფილის შენარჩუნება და სარემონტო-აღდგენითი სამუშაოების ჩატა-რება ევალებოა.

"ასპინძის" საწესდებო კაპი-ტალი 35 ათას 190 ლარს შეადგ-ენს, ხოლო მიწის ფართობი - 3 ათას 38 კვადრატულ მეტრს.

აუქციონის პირობებით, მყო-დევლმა გადასაიღ ფასის 51 პრო-ცენტი ყიდვიდან ერთ თვეში უნ-და დაფაროს, ხოლო დარჩენილი თანხა - მომდევნო ერთი წლის განმავლობაში.

პრაიმ-ნიუსი



ორმაბი სტანდარტის

კარბი მახალთი

პირველი გავრცედა

ამასთან, მან აღიარა, რომ რუსი თანამდე-ბოპის პირები კონფლიქტის ზონაში ჩადიოდნ-ენ, თუმცა, "მხოლოდ და მხოლოდ აფხაზეთის შიდაპოლიტიკური ვითარების მოგვარების მიზ-ნით."

"პირველ რიგში, თავად საქართველო არ არ-ის დაინტერესებული, რომ აფხაზეთში შეიარა-ღებული კონფლიქტი გაჩაღდეს. ჩვენ საქართვე-ლოს წინააღმდეგ არ ვმუშაობთ," - აცხადებს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი.

ვლადიმირ პუტინის განცხადებებს საქარ-თველოს ხელისუფლების მხრიდან მკაცრი რეაგო-რება მოჰყვა.

"უხერხულია, როდესაც რუსეთის ფედერა-ციის პრეზიდენტი შეერთებულ შტატებს სდებს ბრალს ორმაგი სტანდარტებით მოქმედებაში, როდესაც თავად იგივეს აკეთებს ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიაში," - განაცხადა გუშინ საქა-რთველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ.

საქართველოს ეროვნული უშიშროების საბ-ჭოს მდივანი გელა ბეჟუაშვილი კი ოფიციალურ მოსკოვს მოუწოდებს, არ ჩაერიოს საქართველ-ოს საშინაო საქმეებში და მასში "ერი დაინახოს და არა ტერიტორია."

მისივე თქმით, რუსეთის პრეზიდენტმა აფხაზეთში დაკავშირებით ახალი და სახიფა-თო ტერმინი - "ტერიტორიული მთლიანობის თეზისი" - იხმარა, რაც საქართველოსთვის მო-უღებელია, რადგან "ხელისუფლებისთვის ქვეყ-ნის ტერიტორიული მთლიანობა პრინციპია და არა თეზისი."

ბეჟუაშვილის განცხადებით, ოფიციალური თბილისი რუსეთის მხრიდან საქართველოს სა-შინაო საქმეებში უხეშ ჩარევას და მოსკოვის კა-ტეგორიულ ტონს არც ერთ შემთხვევაში არ მო-იღებს. "რუსეთმა საქართველოსთან მიმართე-ბაში ტონი უნდა შეიცვალოს, საქართველო კი ყველა დონეზე დიალოგისთვის მზად იქნება," - აღნიშნა უშიშროების საბჭოს მდივანმა.

პუტინის განცხადებებსა და კრემლის პოლი-ტიკაზე აფხაზეთში, "24 საათი" ესაუბრა საერ-თაშორისო ურთიერთობების ექსპერტს **ალექ-სანდრე რონდელს**, ექსპერტს აფხაზეთის საკი-თხებში **პაატა ზაქარეიშვილს** და ექსპერტს უს-აფრთხოების საკითხებში **არჩილ გეგეშიძეს**.



ალექსანდრა ონდელი

საერთაშორისო ურთიერთობების ექსპერტი: მსგავს განცხადებებს რუსეთის ფედერაცი-ის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი დიდი ხანია, აკეთებს, მაგრამ მსგავსი განცხადებები და მისი თანამომძეების მოქმედებები, იგივე აფხაზეთ-ში, ძალზე განსხვავებულია. ვლადიმირ პუტინის მიერ წლის შემაჯამებელ პრესკონფერენციაზე გაკეთებული განცხადებები ორმაგი სტანდარ-ტების კარგი მაგალითია.

გარდა ამისა, როგორც ჩანს, უკვე დღეს, ის არ მალავს, რომ აფხაზეთი მისი განსაკუთრებუ-ლი ინტერესების ტერიტორიაა, რასაც ადრე არ ამბობდა. ეს, თავის მხრივ, მანიშნებელია იმისა, რომ რუსეთის ინტერესები აფხაზეთის მიმართ ძალზე სერიოზულია და სცილდება მხოლოდ მე-ზობელი ქვეყნის ინტერესებს. მაგრამ, როდესაც მეზობელი სახელმწიფო ძლიერია და ყველაფე-რი გასდის, რას იზამ.

ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ საერთაშორისო თანამეგობრობის და ჩვენი საკუთარი სიმტკიც-ის იმდით ვიყოთ. თუმცა, მაინც, რუსეთი ისეთი ძალაა, რომ მას გასდის იმპერიალიზმი და ვერა-ფერს გაანცობ.



პაატა ზაქარეიშვილი

ექსპერტი აფხაზეთის საკითხებში:

ვლადიმირ პუტინი გამოწვევად იქცევა, რაც პირველად არ ხდება. რუსეთის ფედერაცია ასე მკაფიოდ, ცალსახად და უტიფრად არასოდეს ჩა-რეულა საქართველოს საქმეებში, როგორც მაშ-ინ, როდესაც აფხაზეთში რუსეთის ფედერაციის კა-ტეგორიული პროკურორის მოადგილე და შინა-გან საქმეთა მინისტრის მოადგილეები ჩავიდნენ. ისინი, ასე ვთქვათ, ჩაუსხდნენ უკანონო სა-ბუთებს - არალიარებული არჩევნების საბუთებს - და დაასკვნეს, რომ არჩევნები უკანონო ყოფი-ლა. აფხაზეთის თვითგამოცხადებულ რესპუბ-ლიკაში პრეზიდენტის არჩევნები ისედაც უკა-ნონო იყო. რუსეთის ქცევა, ამ შემთხვევაში, ყვე-ლანაირ ზღვარს სცილდება და სერიოზული ჩა-რევაა საქართველოს შიდა საქმეებში.

ამასთან, გულდასაწყვეტია, რომ არც ერთმა საერთაშორისო ორგანიზაციამ, განსაკუთრებ-თი - ჩვენმა მეგობრებმა, ხმა არ ამოიღეს, რაც, თავის მხრივ, სერიოზული მინიშნებაა იმისა, რომ ჩვენ გამო თავს არავინ შეიწუხებს. მაგრამ დღეს, როდესაც ვლადიმირ პუტინმა აღნიშნული საქციელი გააფორმა ისე, თითქოს არც არაფერი მომხდარა და არაფერი დამუშებუ-ლა, ეს საერთოდ წარმოუდგენელი რამაა.

მან გააკეთა უტიფარი განცხადება და საქა-რთველოს ხელისუფლებას თუ თავმოყვარეობა გააჩნია, მხოლოდ განცხადებით კი არ უნდა შე-მოიფარგლოს, არამედ ამ საკითხს სამართლებ-რივი მიმართულება უნდა მისცეს.

ჩვენ რუსეთს უნდა გუჩიოვლით, მაგალითად, პაატაში, სადაც არსებობს სასამართლო, რომე-ლიც საერთაშორისო ურთიერთობებს არეგუ-ლირებს.

როდესაც აღმასრულებელი ფიგურები, სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე ჩამოდიან და უკანონო ქცევებში მონაწილეობას ღებულობენ, საჭიროა რეაგირება.

თუ საქართველომ ეს არ გააკეთა და პასუხი არ მოითხოვა, მომავალში გაცილებით უარესს მივიღებთ.

არჩილ გეგეშიძე

ექსპერტი უსაფრთხოების საკითხებში:

თავისთავად, პუტინის განცხადება ძალზე ზოგადია, პრინციპში, შესაბამება ყველა პოლი-ტიკურ, დიპლომატიურ თუ თანამედროვე პო-ლიტიკურ ნორმას, მაგრამ, ამავე დროს, ეს არ არის ახალი. მსგავს განცხადებებს ოფიციალუ-რად, რუსეთი დიდი ხანია, აკეთებს, მაგრამ საქ-მე ის არის, რომ ზოგადი განცხადებების უკან, მთელი ამ წლების განმავლობაში, რუსეთისევ მხრიდან ვითარების სხვაგვარი წაკითხვის პრა-ქტიკა იყო - კონკრეტულად, აფხაზეთის საკი-თხში, სადაც რეალური ინტერესები არ შეესაბა-მება რუსეთის ოფიციალურ პოზიციას, დეკლა-რაციებს, პრეზიდენტის ოფიციალურ განცხა-დებებს და, მათ შორის, პრესკონფერენციაზე გაკეთებულ განცხადებას.

რუსეთის რეალური ინტერესები გამომდინა-რეობს იქიდან, რომ ის ჯერ კიდევ განიხილავს დასავლეთს, როგორც რუსეთის და ყველაფერ რუსულის საწინააღმდეგოს და მტრულს. ის თავ-ის თავს არ მოიაზრებს ამ დასავლური სამყარ-ოს ნაწილად და, შესაბამისად, ყველაფერი, და-სავლეთთან დაკავშირებული და პროდასავლუ-რი, სადაც არ უნდა იყოს, განსაკუთრებით კი, მის მეზობლად და სამხრეთ კავკასიაში, აღიქმე-ბა როგორც ანტირუსული.

შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ საქარ-თველომ ძალიან მძიმე წლები გამოიარა დამოუკი-

დებლობის აღდგენის პერიოდიდან, მაინც მოახე-რსა და დაიწყო პროდასავლური კურსის რეალური განხორციელება. ამდენად, კრემლი ყველანაირად ცდილობს, ხელი შეუშალოს საქართველოს ამ კუ-რსის რეალიზებაში, არა იმიტომ, რომ საქართვე-ლო დასავლური სტრუქტურების ნაწილი არ გახდ-ეს, არამედ, ის დასავლეთი, თავისი ინტერესებითა და გავლენით არ შემოვიდეს კავკასიაში.

ამასთან, რუსეთის ფედერაცია იმასაც აც-ნობიერებს, რომ გარკვეულ საკითხებში ძალიან არაკონკურენტუნარიანია, მაგალითად, ეკონო-მიკურ საკითხებში. ამიტომ, იგი ყოველთვის გამოყენება ტრადიციული მეთოდების გამოყე-ნებას, რომ ხელი შეეშალა საქართველოსთვის - ეს არის კონფლიქტების გაყინვის ხელოვნების გამოყენება, რაც რუსეთს ძალზე მაღალ დონე-ზე აქვს აყვანილი, აგრეთვე, მემკვიდრეობით მიღებული სამხედრო ბაზების დატოვება საქარ-თველოში, რათა ამაწაც ხელი შეუშალოს საქარ-თველოს დასავლურ ინსტიტუტებში შეღწევას. დასავლურ ინსტიტუტებში მისთვის განსაკუთ-რებით მნიშვნელოვანია ნატო.

საუბარია იმაზე, რომ საქართველო თავისი ფიზიკური უსაფრთხოების გარანტიებს ნატო-ში ეძებს და არ ეძებს რუსეთში, რადგან იქ ვერ იპოვნის, და მეტიც, ეს გარანტიები სწორედ რუ-სეთისგან მომდინარე საფრთხეებისგან თავის დასაცავად სჭირდება.

კრემლს, განსაკუთრებით, სწორედ ნატო-სი ეშინია და ამ ძირითადი ფაქტორის გამო, მათი ოფიციალური დეკლარაციების მიღმა, რეალუ-რად სულ სხვა პოლიტიკას ატარებს.

არსებობს ასევე პოლიტიკური ფაქტორიც. კერძოდ, რუსეთის ფედერაციას თავად აფხაზე-ბის ლოიალობის შენარჩუნება სურს. იმის გამო, რომ მას ძალიან უჭირს კავკასიაში, თვალს ჩი-ნიეთი უფრთხილდება ამ რეგიონში მისდანი ლოიალურად განწყობილ ხალხებს, რათა მათი მეშვეობით არ დაუშვას ანტირუსული განწყო-ბების გავლივება.

აფხაზებს კი, თავის მხრივ, ლოიალურობას რეალურად არსებული პოლიტიკური მდგომა-რეობა აიძულებს.

ამის გამო, რუსეთს ხელს არ აძლევს კონფ-ლიქტის იმ ფორმულირებით მოგვარება, როგ-ორც ამას ოფიციალური დეკლარაციებში ამშ-იობს, რადგან ეს საქართველოს ზღას გაუხსნის ნატო-სკენ.

ვლადიმირ პუტინი, რა თქმა უნდა, ოფიცია-ლურად ყოველთვის იტყვის, რომ რუსეთი მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, როგორც ეს გუშინ გააკეთა, მაგ-რამ გააჩნია, თუ როგორ ნავიკითხავთ მის სი-ტყვებს - "ამავე დროს გათვალისწინებული უნ-და იქნეს საქართველოში მცხოვრები ხალხის ინტერესები."

რა თქმა უნდა, ეს მართებული განცხადებაა. თუ საქართველო თანამედროვე ტიპის მოდერ-ნიზებული, დემოკრატიულ პრინციპებზე დამყა-რებული ქვეყნის მშენებლობას აპირებს, მართ-ლაც უნდა გაითვალისწინოს მის ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხების ინტერესები.

მაგრამ, ეს ყველაფერი დაფუძნებული უნდა იყოს ადამიანის უფლებების თანამედროვე სტა-ნდარტებზე.

ნესით, სწორედ ეს უნდა ამოვიკითხოთ პუ-ტინის ნათქვამში, მაგრამ, სამწუხაროდ, რეა-ლურად იგი მასში სხვა შინაარსს დებს. კერძოდ, ყველა მოსახლის ინტერესში ის გულისხმობს, რომ, ერთი მხრივ, არსებობს ტერიტორიული მთლიანობა, მაგრამ თუ ვილაცას ცალკე ყოფნა სურს, ესეც უნდა იქნეს გათვალისწინებული.



ამირან მგელაძე
ჟურნალისტური გამოძიების
ეროვნული სააგენტო

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
 ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
 ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
 ფაქსი: (995 32) 23 01 03



ანა დოლიძე

განსაკუთრებული დასაბუთება არ სჭირდება იმის მტკიცებას, რომ წინასწარი პატიმრობის შეფარდება საქართველოში რეკოლუციის შემდეგ გახშირდა. თავად ხელისუფლებაც არ ცდილა, რამენაირად მიეჩქმალა ეს ფაქტი.

ერთი მხრივ, იმას, რომ საზოგადოებას კარგად ეგრძნო გახშირებული დაპატიმრებები, მასმედიის საშუალებებმა შეუწყვეს ხელი, როდესაც 2004 წლის პირველი ნახევრის განმავლობაში საქართველოს ყველა სატელევიზიო არხი "რეალიტი შოუს" სტილში გადასცემდა სპეცრაზმების მიერ სხვადასხვა თანამდებობის პირების დაკავებისა და დაპატიმრების სახახობას. დაკავებისა და დაპატიმრების კანონიერებასა და მიზანშეწონილობაზე რომ არ ვიმსჯელოთ, ვინაიდან ამაზე ქვემოთ ვრცლად გვექნება საუბარი, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რეპორტაჟების გაკეთებისას არაგინ დაგიდევდათ დაკავებულის უდანაშაულობის პრეზუმფციას თუ მისი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა თუ საიდუმლოების უფლების დაცვას. შესაბამისად, მაყურებელმაც გული იფერა ექს-მოხელეების აღნაგობისა თუ საცვლების თვალყურებით.

მეორე მხრივ, სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან წინასწარი პატიმრობის ხშირ გამოყენებას ციხეებში არსებული მდგომარეობაც ადასტურებს.

2004 წლის 15 ნოემბრის მდგომარეობით, N1 თბილისის საპრობოლეოში იმყოფება 3259 პატიმარი, მაშინ, როდესაც იგი მხოლოდ 2020 პატიმარზეა გათვალისწინებული. პრაქტიკულად, ეს გულისხმობს, რომ საქნებში შექმნილია ღირსების შემლახავი მდგომარეობა, როდესაც 26-კაციანი საკანში 60 ადამიანია მოთავსებული, რომელთაც რიგრიგობით სძინავთ, დასაჯდომი ადგილიც კი არ აქვთ და რომლებიც საკუთარი ფეკალიების სუნით სუნთქავენ.

საბოლოო ჯამში, მასმედიის გულმოდგინების, უცხოელ დამკვირვებელთა აღმოვრებისა თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციების პატივორობის გამო, მოსახლეობას მართლულად ჩამოუყალიბდა შთაბეჭდილება, რომ წინასწარი პატიმრობა აღკვეთის ერთადერთ ღონისძიებად იქცა. თუმცა, ცოცხა გამხტალი ფობს: დღემდე, ძირითადად, ყველა დისკუსია გახშირებული პატიმრობისა და მისი კანონიერების თაობაზე ინდივიდუალურ საქმეებსა თუ განზოგადებულ საჯულობას არ გასცილებია. არავის გაუკეთებია 2004 წლის განმავლობაში მომხდარი დაპატიმრებების სტატისტიკური ანალიზი. ამ დანაკლისის აღმოსაფხვრელად ახალგაზრდა იური-სტთა ასოციაციამ სცადა, თბილისის მასშტაბით მაინც მოეპოვებინა სასამართლოებიდან ინფორმაცია ამ წლის განმავლობაში განხორციელებული წინასწარი პატიმრობის შესახებ. ასოციაციას არ გააჩნია ამბიცია, რომ ეს კვლევა ყოვლისმომცველი ან განსაკუთრებით ღრმაა. ჩვენი მიზანია, მკითხველს წარვუდგინოთ მცირე, მაგრამ დასაბუთებული სურათი ამ სფეროში არსებული შემზარავი მდგომარეობისა.

რამდენი შუამდგომლობა იქნა შესული აღკვეთის ღონისძიებად დაპატიმრების შერჩევის შესახებ და მათგან რამდენზე იქნა შერჩეული აღკვეთის ღონისძიებად დაპატიმრება 2004 წლის იანვრიდან 1 ნოემბრამდე შემდეგ სასამართლოებში:

სანამ წინამდებარე ინფორმაციის ჩვენეულ ანალიზს შემოგთავაზებდეთ, აუცილებელია, წარმოვადგინოთ საქართველოს კანონმდებლობის მოკლე ექსკურსი წინასწარ პატიმრობასთან დაკავშირებით.

საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის თანახმად, "ადამიანის თავისუფლება ხელშეუვალია. თავისუფლების აღკვეთა ან პირადი თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვა დაუშვებელია სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე."

სასამართლო ხელისუფლება „წინასწარი პატიმრობის“ კონსტიტუციური მძევალი ხდება

ახალი საკონსტიტუციო ცვლილებები მოსამართლეთა მორჩილების კიდევ ერთ საშუალებას იძლევა

სასამართლოს დასახელება	რამდენი იქნა შემოსული	რამდენი დაიკაო ფაქტად	აქედან სამოსდლო დანაშაულზე	დამაყოფილ დანაშაულზე
დიდებუქილური	361	289	4	4
გლდანი-ნასადევი	515	481	16	14
გელუბაშური	401	384	13	13
მთაწმინდა-კრწანისი	500	451	45	42
ისანი-სამკური	471	337	12	9
ქ. თბილისის საოლქო სასამართლო	139	77	7	5
ქ. თბილისის საოლქო სასამართლო	832	ადეკატის საჩივარი დაპატიმრების შეცვლის ან გაუქმების შესახებ	97	8
უზნაქის სასამართლოს სისხლის საქმეთა სასამართლო კოლეგია	22	21	14	13
უზნაქის სასამართლოს სისხლის საქმეთა პალატა	11	11	9	9

სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიებათა გამოყენება ყოველთვის დაკავშირებულია პროცესის გარკვეული მონაწილის უფლებათა და თავისუფლებათა შეზღუდვასთან. სწორედ ამიტომ სისხლის სამართლის საპროცესო კანონი დაწვრილებით არეგულირებს აღნიშნულ საკითხს.

სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიებები შეიძლება პირობითად დაიყოს ორ სახედ: საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 152-ე მუხლის მიხედვით, აღკვეთის ღონისძიებათა სახეებს მიკუთვნება: ა) დაპატიმრება, ბ) შინაპატიმრობა, გ) პოლიციის ზედამხედველობაში გადაცემა, დ) გირაო, ე) ხელნერილი გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ, ვ) პირადი თავდებობა, ზ) არასრულწლოვანი ბრალდებულის მეთვალყურეობაში გადაცემა, თ) სამხედრო მოსამსახურის ქცევისადმი სარდლობის მეთვალყურეობა.

კანონმდებლობის მიხედვით, აღკვეთის ღონისძიებისა და მისი კონკრეტული სახის გამოყენების საკითხის გადაწყვეტილას, მომკვლევი, გამოძიებელი, პროკურორი და სასამართლო ითვალისწინებს წაყენებული ბრალდების სიმძიმეს, ბრალდებულის პიროვნებას, მის საქმიანობას, ასევე, ჯანმრთელობას, ოჯახურ და ქონებრივ მდგომარეობასა და სხვა გარემოებებს.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 155-ე მუხლის თანახმად, აღკვეთის ღონისძიების გამოყენება და შეცვლა ხდება მოსამართლის ბრძანებით, აგრეთვე, სასამართლოს განაჩენით ან განჩინებით (დადგენილებით). ზემოთ მოყვანილი ცხრილიდან კარგად ჩანს, რომ სასამართლოს მხრიდან წინასწარი პატიმრობის შერჩევისათვის პროკურატურის შუამდგომლობის დაკმაყოფილების ხარისხი საშუალოდ 95 პროცენტია. მეტიც, იმ შემთხვევაში, როდესაც რაიონულმა სასამართლოებმა განსაკუთრებული სიმტკიცე გამოიჩინეს და ბრალდებულებს არასაპატიმრო ღონისძიება შეუფარდეს, მათი გადაწყვეტილება განიგრდა პროკურატურის მიერ და ბრალდებულთა ნახევარზე მეტი კვლავ საპატიმროში დაბრუნდა (გრ. N6) შედარებისათვის საინტერესოა ადვოკატების მიერ გასაჩივრებული გადაწყვეტილებების დაკმაყოფილების ხარისხი (გრ. N7). როგორც ჩანს, ადვოკატების საჩივართაგან უმცირესობა თუ კმაყოფილებდა.

განსაკუთრებით საინტერესოდ ვთვლით სტატისტიკას სამოხელეო დანაშაულთან დაკავშირებით. ცნობილია, რომ ამ ტიპის დანაშაულთან ბრძოლა ხელისუფლების პრიორიტეტს წარმოადგენს და განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი ინტერესის მატარებელია. შესაბამისად, როგორც ცხრილიდან ჩანს, სასამართლო განუხრელად ახორციელებს აღმასრულებელი ხელისუფლების პოლიტიკას და ამ ტიპის შუამდგომლობების დაკმაყოფილების ხარისხიც თითქმის აბსოლუტურია.

ვთვლით, რომ არსებულ მდგომარეობაში მხოლოდ სასამართლო ხელისუფლების დადანაშაულება არამართებულია. პრობლემის შექმნაში თანაბარი წვლილი და პასუხისმგებლობა მიუძღვის როგორც სასამართლოს, ისე პროკურატურას და მთლიანად სახელმწიფოს.

თუ საქართველოს სამართლებრივი სახელმწიფოსა და ევროპული თა-

ნამეგობრობის თანასწორი წევრობის პრეტენზია აქვს, მაშინ ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს მკაცრი დირექტია, რომ წინასწარი პატიმრობა შეიძლება მხოლოდ სტამბრნაპლნს ღონისძიება იყოს, როგორც სასამართლოებისთვის, ისე ყველა სახელმწიფო ორგანოსათვის სახელმძღვანელოს უნდა წარმოადგენდეს. "ნებისმიერ შემთხვევაში, როდესაც სახელდება წინასწარი პატიმრობის გამოყენების რომელიმე მიზეზი და, ამასთანავე, სახელმწიფოში არსებობს წინასწარი პატიმრობის ალტერნატიული ღონისძიებების გამოყენების სისტემა, ხელი-სუფლების ორგანოები ვალდებული არიან, განიხილონ ამგვარი ზომების გამოყენების საკითხი წინასწარი პატიმრობის შეფარდებისას."

შესაბამისად, მხოლოდ მას შემდეგ, რაც დასაბუთებული იქნება ყველა სხვა აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზანშეუწონლობა, შეიძლება პროკურატურამ თავს უფლება მიეცეს და ბრალდებულისათვის აღკვეთის ღონისძიებად წინასწარი პატიმრობა მოითხოვოს.

პროკურატურა წინასწარი პატიმრობის მოთხოვნას უმრავლეს შემთხვევაში მხოლოდ ბრალდებულის მიმალვის საშუალებით ასაბუთებს. დასაშვებია, რომ მრავალ შემთხვევაში ბრალდებულს მართლაც მიემალვოს გამოძიებას და აღარ გამოცხადდეს შემდგომ სასამართლო პროცესზე, თუ მას ამის საშუალება მიეცემა. თუმცა, აქაც, პროკურატურა ვალდებულია, საკუთარ თავს დაუსვას კითხვა, თუ რა არის მიმალვის მიზეზი. პასუხი ამ კითხვაზე მარტივია: ბრალდებული იმალება იმიტომ, რომ მას ნება მიეძღვა შემთხვევაში პატიმრობა ელის. შესაბამისად, პროკურატურა თავად ქმნის ჩაკეტილ წრეს: იგი გაუმართლებლად ხშირად ითხოვს პატიმრობას, შესაბამისად, ყველა ექვემდებარება აქვს შიში, რომ დაპატიმრებენ და მიმალვას ცდილობს. ამგვარად იქმნება საფუძველი, რომ მოითხოვს მათი პატიმრობა, რადგანაც მიმალვის საფრთხე არსებობს.

ამასთან, ყურადღებას მიზანმიმართულად არ ვამახვილებთ ისეთ აშკარა კანონდარღვევებზე, როდესაც ხდება მოხუცებულების, ფსიქიურად დაავადებულების, მძიმე ავადმყოფების, მცირე მნიშვნელობისა და გაუფრთხილებელი დანაშაულისათვის ბრალდებულების დაპატიმრება. როდესაც მოითხოვება პატიმრობა ადამიანების, ვინც შეტყობინების მიღებისთანავე ჩამოდის საზღვარგარეთიდან დაკითხვაზე გამოსაცხადებლად, ან ვინც ნებაყოფლობით, ანდა დანაშაულის აღიარებით ცხადდება.

მაგალითისთვის, დღეს 5 ლარის ქურდობისათვის პატიმრობაში იმყოფება 15 წლის ვაჟი. მე-7 კლასელი, რომელმაც მეზობლის ეზოში 2 ცალი ლითონის ფირფიტა მოიპარა; მე-5 კლასელი, რომელმაც 35 ლარის ღირებულების ლითონი მოიპარა. ალბათ, კონკრეტული მაგალითების ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანს.

პროკურატურის მხრიდან ასეთი საქციელის მრავალი განმაპირობებელი მიზეზი შეიძლება არსებობდეს. ის ფაქტი, რომ პროკურატურას სასამართლოები მინიმალურ წინააღდეგობას უწევენ და ხშირ შემთხვევაში ადასტურებენ მათ მოთხოვნებს, რა თქმა უნდა, კიდევ უფრო აგულიანებს ამ ორგანოს წარმომადგენლებს. გარდა ამისა, ის ფაქტი, რომ უკანონო პატიმრობისთვის ან უკანონო და-

კავებისათვის ერთეულები თუ ყოფილან პასუხისგებაში მიცემული და ამასთან, ერთეულები თუ ყოფილან სასამართლო წესით რეაბილიტირებული უკანონო პატიმრობის შემდეგ, თავისთავად ხელს უწყობს დაუსჯელობის სინდრომის გავრცელებას სამართალდამცავ ორგანოებში.

შექმნილ მდგომარეობაში არანაკლები წვლილი სასამართლო ხელისუფლებასაც მიუძღვის. სასამართლო ხელისუფლების ხშირი კრიტიკის გამო, ზოგ მოსამართლეს ბრალდებათისადმი ერთგვარი თავდაცვის ინსტინქტიც კი გამოუმუშავდა. თუმცა, სამუხაროა, რომ სწორედ ის მოსამართლეები, რომელთაც პროკურატურის მოთხოვნებისადმი ყველზე ნაკლები წინააღმდეგობა ახასიათებთ, ციხეებში შექმნილი არაპუმანური მდგომარეობის აღწერის საპირისპიროდ გვპასუხობენ, რომ მოსამართლეთა კორპუსსა თუ სამართალდამცავებს ბრალი არ მიუძღვით იმაში, რომ, თურმე, საქართველოში პატარა ციხეებია, რომ საპრობილები რეკლუციამდე (ოლონდ არა ნოემბრის, არამედ დიდი ოქტომბრის რეკლუციამდე) აშენდა და თურმე, მათი ტევადობა დამნაშაევების დღევანდელ ოდენობას არ შეესაბამება (!). ეს ყველაფერი იმის ნაცვლად, რომ კიდევ ერთხელ დაფიქრდნენ, რომ საპატიმროების არანორმალური გადატვირთულობის დღევანდელ პირობებში, მათ მიერ შეფარდებული თითოეული პატიმრობა თავისუფლების შეზღუდვაზე ბევრად უფრო მეტია - იგი გულისხმობს ბრალდებულის განიგვას არაადამიანური პირობებისათვის, მისი ღირსების შემლახავი მდგომარეობისათვის.

თუმცა, გასაკვირიც არ უნდა იყოს, რომ მათ მიერ განხორციელებული ქმედების სიმძიმე არც პროკურორებს და არც მოსამართლეებს ბოლომდე არ ესმით - მათ უმრავლესობას ხომ ნანახიც არ აქვს პატიმარებში გადამტვირთული რეალიზაცია.

აქვე, რამდენიმე საკითხი განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია. პირველ რიგში უნდა ითქვას, რომ აღმასრულებელი ხელისუფლებისა თუ პარლამენტართა მხრიდან გამონათქვამები სასამართლოს ქმედუენარობასთან დაკავშირებით დაუშვებელია. სასამართლო ხელისუფლების ისეთივე შტოა, როგორც აღმასრულებელი და საკანონმდებლო. მეტიც, მას ამ ორი უკანასკნელის საქმიანობაზე კონტროლის ფუნქცია აკისრია. შესაბამისად, ნებისმიერი გამონათქვამი სასამართლო ხელისუფლების ქმედუენარობის თაობაზე შეიძლება, მასზე ზეგავლენის ან ჩარევის მცდელობად ჩაითავლოს, რაც ჩვენი კონსტიტუციით არის აკრძალული და კანონმდებლობით დასჯადი ქმედებაა.

გარდა ამისა, სასამართლო ხელისუფლების თაობაზე ყველაზე ავტორიტეტული დოკუმენტი - "ევროპის ქარტია მოსამართლეთა სტატუსის შესახებ" - აცხადებს, რომ სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობაზე ზრუნვა სხვა იური ხელისუფლების - მთავრობისა და პარლამენტის ვალდებულებაა. ასეთი მოთხოვნა გასაგებია, სასამართლო ხელისუფლებას არ აქვს უნარი, მოახდინოს თვითრეგულირება. ამის საშუალება და ვალდებულება მხოლოდ პრეზიდენტსა და პარლამენტს აქვს.

აქედან გამომდინარე, როდესაც სასამართლოს დამოუკიდებლობა შელახულია, ამაზე პასუხისმგებლობა სწორედ აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებას მოეთხოვება.

აქვე, უნდა აღინიშნოს, რომ ხელისუფლება ამ სიტუაციის გულხელდაკრფილი მაყურებელი არ არის. დღესაც არსებობს სასამართლო ხელისუფლების რეფორმის მცდელობები, თუმცა, არ შეიძლება ითქვას, რომ ეს მცდელობები სასამართლოს დამოუკიდებლობის გაზრდას შეუწყობს ხელს. რეფორმის შემდეგ წარმოდგენილი რეფორმის ყველა ინიციატივა გულისხმობდა მოსამართლეთა გათავისუფლებას თანამდებობებიდან. ამასვე გულისხმობს საკონსტიტუციო ცვლილების უახლესი ინიციატივაც.

ლოგიკა მარტივია: სამსახურიდან გათავისუფლების მუდმივი შექარა მოსამართლეების დამოუკიდებლობას უშლის ხელს. ეს იმის ფონზე, როცა მსოფლიოში სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის გაზრდის ერთ-ერთ საშუალებად თანამდებობაზე ყოფნის ხანგრძლივი ვადის დაწესება, ან სულაც უვადოდ გამწესება ითვლება.

გარდა ამისა, გაურკვეველია, რა აუცილებლობას წარმოადგენს სასამართლოების უმაღლესი რგოლის - უზენაესი სასამართლოს ყველა მოსამართლის გათავისუფლება. საკონსტიტუციო ცვლილებების სულ ბოლო პროექტი ხომ სწორედ ამას გულისხმობს. მით უფრო, რომ საქართველოს კანონმდებლობა ყველანაირ საშუალებას იძლევა იმისათვის, რომ სისტემა ინდივიდუალურად გათავისუფლდეს არაკვალიფიციური და კორუმპირებული მოსამართლეებისგან. ამაში იგულისხმება დისციპლინარული დევნის, ატესტაციის, დაბოლოს - იმპიჩმენტის დადგენილი პროცედურები.

კიდევ ერთი ფაქტორი, რაც ხელისუფლების მიერ აღებული მიმართულების სიმცდარის მანიშნებელია: წარმოდგენილი ინიციატივების მიხედვით, გათავისუფლებულ მოსამართლეთა კორპუსს კანონით დანესტებული შეღავათები უნარჩუნდებათ, მათ შორის კი ყველაზე მნიშვნელოვანი - "სამისდღემო" პენსია ხელფასის სრული ოდენობით. მაშინ, როდესაც სხვა საფუძვლით გათავისუფლებისას მოსამართლეებს ასეთი შეღავათების შენარჩუნების შესაძლებლობა ესპობათ. სწორედ აქედან გამომდინარეობს თავად მოსამართლეთა მდუმარება ამ ინიციატივებთან დაკავშირებით. რა თქმა უნდა, თუ მათ ნებისმიერ შემთხვევაში გათავისუფლება ემუქრებათ, "სამისდღემო" პენსიითა და შეურყენელი სახელით გათავისუფლება სჯობს, ვიდრე, უკეთეს შემთხვევაში, საჭევო რეპუტაციითა და მატერიალური შეღავათების გარეშე სისტემიდან წასვლა. ეს ისეთივე აქსიომაა, როგორც ის, რომ სჯობს იყო მდიდარი და ჯანმრთელი, ვიდრე ღარიბი და ავადმყოფი."

საკითხავი კი სხვა რამეა: რამდენად კეთილსინდისიერია ხელისუფლება, რომელიც ამტკიცებს, რომ მას ადარდებს სასამართლო სისტემის ბედი, აწუხებს ის ფაქტი, რომ სისტემა საუკეთესოა არაკეთილსინდისიერი და კორუმპირებული კადრებით და რომელიც ასეთ ადამიანებს, სხვებთან ერთად, დიდი პატივითა და ღირსებით, ერთი ხელის მოსმით ათავისუფლებს, თანაც ისე, რომ მათთვის "სამისდღემო" პენსიის გადახდის ვალდებულებას აკისრებს საზოგადოებას?!

შექმნილი მდგომარეობიდან ერთმნიშვნელოვანი გამოსავალი არ არსებობს. ვითარების შესაცვლელად აუცილებელია პირველ რიგში, ნათლად და ცალსახად გამოხატული ნება გამოძიების მწარმოებელი ყველა ორგანოს ხელმძღვანელის მიერ ამ ორგანოების მუშაება დამოკიდებულების შესაცვლელად წინასწარი პატიმრობის მიმართ. დაუსჯელობის სინდრომის აღმოფხვრა იმ პირების პასუხისგებლობის საკითხის დაყენებით, ვინც განაპირობეს უკანონო პატიმრობა. პარალელურად, როგორც გამოძიებელთა, პროკურორთა, ისე მოსამართლეთა სწავლება და განათლება აღკვეთის ალტერნატიული ღონისძიებების გამოყენების ხელშეწყობის თვალსაზრისით. რაც შეეხება სასამართლო სისტემას, უდავოა, რომ სასამართლო რეფორმის განხორციელება აუცილებელია, თუმცა, იმისათვის რომ ეს რეფორმა შედეგიანი და ლეგიტიმური იყოს, ის უნდა მოხდეს თანმიმდევრულად, საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით და საზოგადოების რაც შეიძლება ფართო მონაწილეობით.



დაკარგული და
ოცნებად
ქცეული
ქალაქი



ნაკრახის
ქონძურაზი
იკვითება



ორი
უკრაინა,
სამი
ჰეიზანი



B2

B5

B6

ექსკურსია თბილისის პარკებში

სკვერი პატარა საზოგადოებრივ ბაღს ეწოდება, ოღონდ ეს ბაღი აუცილებლად ქალაქში უნდა იყოს. პარკიც ბაღია, მაგრამ უფრო დიდი. ნებისმიერ თანამედროვე ლექსიკონში ამ უკანასკნელს განმარტებისას მითითებულია, რომ პარკებში არის ხეივანი, ყვავილნარი, სათამაშო მოედნები... იყო დრო, პარკებსაც და ბაღებსაც კულტურისა და დასვენების ადგილები ერქვა. თუ თბილისის ბაღებში დედები ჯერ კიდევ ასეირნებენ ბავშვებს, პენსიონრები პოლიტიკაზე კამათობენ, შეყვარებულები კი ერთმანეთს ეალერსებიან, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ იქაურობა დასასვენებლად, მით უფრო, დროის კულტურულად გასატარებლად გამოდგება. უბრალოდ, ხალხს სხვაგან წასასვლელი არა აქვს.

სოფიო თოდაა

შარშან, არჩევნების წინ, სანამ შაერში დენთის სუნი დატრიალდებოდა, თბილისი დამწვარი ფოთლების ბოლით გაიჟლინთა - "ნაციონალური მოძრაობა" არჩევნებისთვის ემზადებოდა და სკვერებისა და ეზოების კეთილმოწყობას შეუდგა. ამაში დასაძრახი ნამდვილად არაფერია, მაგრამ რატომღაც მხოლოდ სკვერები მოწესრიგდა, თბილისის პარკებში კი არავის შეუხედავს. იქნებ მაშინ საამისოდ არც ფული იყო და არც დრო, გზისპირა სკვერებში კი თითოეული სკამის გადაღება ან შედრევის გასუფთავება რომ შეგვემჩნია, მართლა ასი თვალისა და ასი ყურის გამობმა საჭირო არ იყო.

თბილისის პარკები ორ კატეგორიად იყოფა - სადაც ჯერ კიდევ შემორჩენილია ატრაქციონები და სადაც მათი ალი-კვალი გამქრალა. პირველი, რაც ყველგან გეტყება თვალში, ეს მწვანე საფარის სიმწირე და გაჩეხილი ხეების სიმრავლეა. დღეს თბილისის ბაღებს პირობითად თუ უწოდებს კაცი ბაღს. სურათით ყველგან ერთნაირია: გაპარტახებული სკამები და დალაგ-ალაგ შემორჩენილი რკინის ლოგები, ნაგვის გროვები და დაღვრული ნაგებობები (ან ვაფეები, ან ტუალეტები), მზესუმზირის გამყიდველები, შიგადაშიგ წინდებსაც რომ ქსოვენ და ერთი-ორი ფოტოგრაფი, უბნის ლითები, ბოზები, ქურდები - *разве это нормально?*

ერთადერთი სახლე, რაც ვარდების რევოლუციის შემდეგ **მუშტაიღს**, ანუ მუფთა პიღის (უშაღლესი სასულერო პირი აღმოსავლეთში) ბაღს დაეტყო, ეს საბავშვო რკინიგზის ვაგონებზე მისაბტული ხუთჯგირიანი დროშებია. ერთ დროს საამაყო, მსოფლიოში პირველი და შგონი, უკანასკნელი საბავშვო მატარებელი რკინიგზის დეპარტამენტს ეკუთვნის. მასვე ეკუთვნის დაუთმავრებული შენობა ბაღის შესასვლელთან, სადაც ამჟამად 54 სოციალურად დაუცველი ოჯახი ცხოვრობს და დღე-დღეზე იქიდან გამოსახლებას ელოდება. საქმე ისაა, რომ ეს ნაგებობა, რომელიც თავის დროზე რკინიგზის ყოფილმა შეფმა სასტუმროდ ჩაიფიქრა, დღეს აუქციონზე იყიდება. ამ შენობას აქ შეხიზნული ოჯახები რომ ვერ შეიძინენ, ამთავითვე ნათელია, თუმცა მათ შორის ყოველ კვადრატულ მეტრზე სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლები იმართება. მომავალი ინვესტორი საუკეთესო შემთხვევაში ბაღის ინფრასტრუქტურის განვითარებაზე დაფიქრდება, თუ არადა, აქაურობა კაზინოდაც გამოდგება და მისი ოფისებად გაქირავებაც არ გაჭირდება. სხვათა შორის,

ქართველი მწვანეების შტაბ-ბინაც მუშტაიდშივე მდებარეობს. მას შემდეგ, რაც მათი ერთ-ერთი აქტივისტი მაღალი თანამდებობის პირი გახდა, ადგილობრივ მწვანეებზე თითქმის არაფერი გვსმენია. ვარაუდით კი შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მათი საქმეები მთლად კარგად ვერ მიდის და, როგორც ჩანს, საკუთარი ოფისის ფანჯრებიდან მუშტაიდი იზღერის ბაღად ეჩვენებათ. რაც შეეხება ატრაქციონებს, მათი ექსპლუატაციის ვადა კარგა ხანია გასულია. მე რომ პატარა შვილი მყავდეს, ატრაქციონებს ახლოსაც არ გავაკარებდი - არადა, ლამის ჩემი ბავშვობისდროინდელი კარუსელი, ემბაქის ბორბალი თუ ავტოდრომი ამ ბაღის ერთადერთი შემოსავალია. სხვებს ესეც არა აქვთ.

ვაკის პარკში, ისევე როგორც მთლიანად ვაკეში, ოდნავ უკეთესი მდგომარეობაა - ყოველ შემთხვევაში, აქ ჯერ კიდევ შემორჩენილია კლუბები და ატრაქციონებიც შედარებით ახალია, მაგრამ ვერც გოლფის კლუბმა და ვერც ვაკის კონტინგენტმა აქაურობას ვერ უშველა. **ზოიურზე** ლაპარაკიც არ ღირს. ნოდარ დუმბაძის ჩანაფიქრს - მდინარე ვერეს გასწვრივ დისნეილენდის მსგავსი პარკი გაშენებულიყო - მრავალსაჩინო თულიანი კორპუსების აშენების იდეა ჩაენაცვლა. ლითონის საკლუბტურებს ნელ-ნელა კიდურები აკლდება, სამაგიეროდ თბილისის, ზოოპარკსა და ზოიურს შორის, ერთი ახალი უბანი ემატება. რაც შეეხება **ვერის პარკს**, რალა ჩინეთის კედელი და რალა - "ცენტრ პოინტის" სახლების მწკრივი! ამ სახლებში ერთი კვადრატული მეტრი ფართი 400-500 დოლარი ღირს. საინტერესოა, აქაურმა მობინადრეებმა თუ იციან, რომ ადამიანი სუნთქვის დროს ნახშირორჟანგს გამოყოფს, ხეები და ბუჩქები კი - ფანებადს. მშენებლობების ნაკლებობა არც **ალექსანდრეს ბაღში** (ყოფილი ყაბაძის) შეიმჩნევა. ზემოთ - ქაშვეთი, ქვემოთ - თეატრი, საელჩო და მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსი, შუაში კიდევ ორი-სამი სკამი და "ყაბაძის არემარე, თვალად საამო".

უკეთესი მდგომარეობა არც აღმაშენებლის გამზირზე შეიმჩნევა. თუმცა რატომ, გორკის პარკს ახლა **ვარდების ბაღი** ჰქვია, რევოლუციის საპატივცემულოდ, და პრეზიდენტის მამის გულის გასახარად - ის ამ ბაღის გადაღმა ცხოვრობს. გამოიცვალა აბრა, დაიყარა ხრეში, საიდანაც გაჩნდა რამდენიმე უფარგისი ქანდაკება. მაგრამ "რა ნიჭმა ააგო" და ვის ეკუთვნის ის გაურკვეველი ფორმისა და ზომის შენობა, ბაღის შესასვლელში რომ დგას, ამაზე პა-



ვერის ბაღში ჩვეულებრივი სურათია - მშენებლობამ იგი დააზიანა.



ასე გამოიყურება ვერის ბაღის სპორტული მოედანი.



მწვანეთა ოფისიდან ეტყობა ცუდად ჩანს, რა დღეშია მუშტაიდი.



ნარსულის ნარჩენების სასაფლაო 'ვარდების ბაღში'.



კონცერტები

სახელმწიფო საკონცერტო დარბაზი

"ლამის შოუ" და თსუ-ს მხიარულთა და საზრიანთა კლუბის გუნ-დი

დას: 18:00 სთ.

თეატრები

თეატრალური სარდაფი რუსთაველზე

"90-იანი... ადამიანის ხმა"

ავტორი და რეჟისორი: ნანა ჯანელიძე

ფასი: 5 ლარი

დას: 20:00 სთ.

მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომახიობთა თეატრი რაფიელ ერისთავი

ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს"

რეჟისორი: გიორგი მარგველაშვილი

დას: 19:00 სთ.

სამეფო უზნის თეატრი

ლაშა ბულაძე

"ნუგზარი და მეფისტოფელი"

რეჟისორი: გიორგი თავაძე

ფასი: 2-დან 5 ლარამდე

დას: 19:00 სთ.

გლობუსი

ჯონ ჰ. პრისტლი

"ვარდი და გვორგინი"

რეჟისორი: მედლა კუჭუხიძე

ფასი: 2-3 ლარი

დას: 19:00 სთ.

კინოთეატრები

კინოს სახლი

"პასკუალინო და 7 ლამაზმანი"

რეჟისორი: ლინა ვერტმეილერი (იტალია)

ფასი: 1 ლარი

დას: 18:00 სთ.

რუსთაველი

"ღრუბლებთან თამაში"

დას: 22:15 სთ.

ამირანი

"წყალქვეშა სამო"

დას: 12:00; 14:00: 18:00; 20:00 სთ.

ფასი: 6-დან 14 ლარამდე

"მობილური ტელეფონი"

დას: 22:00 სთ.

მცირე დარბაზი

"ბანდიტები"

დას: 22:00 სთ.

გამოყენები

ქარვასლა

"ქარვასლასა" და სახელმწიფო ხელოვნების მუზეუმში დაცულ ექსპონანტთა გამოფენა

სურათების ეროვნული გალერეა

არქიტექტორ ვახტანგ დავითაიას ნამუშევართა პერსონალური გამოფენა

გალერეა "დიდი"

(ერეკლე II-ის ქუჩა 13)

ტანსაცმლის დიზაინერის - მარიკა სააკაშვილის ნამუშევრების გამოფენა

გოეთეს ინსტიტუტი

ბეატ პრესნერის ფოტონამუშევრების გამოფენა

საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი

გამოფენა "შუა საუკუნეების ქრისტიანული ხელოვნება"

ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი

"სამკაული და ისტორია"

მოძრავი გამოფენა-გაყიდვა

პრეზენტაციები

საქართველოს საეაქრო ცენტრი

ნოდარ გურაბანიძის წიგნის - "ფანტასტიკური რამაზ ჩხიკვაძე" პრეზენტაცია;

პარალელურად გაიმართება ფოტო და სცენოგრაფიული გამო-ფენა

დას: 19:00 სთ.

პარნასი

გამომცემლობა "ინტელექტის" პროექტი

"ნოელის პრემიის ლაურეატები"

ექვსი ახალი წიგნის პრეზენტაცია

წარმოდგენილი იქნება წიგნები: ზორის პასტერნაკი - "ექიმი ჟი-ვაგო";

ანატოლ ფრანსი - "ბატონ ჟერომ კუნიარის აზრები"

მიგელ ასტურიასი - "გვატემალის ლეგენდები"

ჯეიმს დ. უოტსონი - "ორმაგი სპირალი"

"ნობელიანტი ეკონომისტები"

"ნობელის პრემიის ლაურეატები ლიტერატურაში"

დას: 17:00 სთ.

დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შევიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: outlure@24hours.ge

დეკემბერი შეჯამების დროა

დიდი სტუმრიანობა სამინისტროში



გარისა აპოლონავილის ფოტო

მინისტრის მოადგილის თამარ ქვა-რიანის სიტყვებს: სამინისტრო ცდილობს, უფრო აქტიური მონა-ნილობა მიიღოს ინოვაციურ პრო-ექტებშიო. გუშინ ინოვაციურთან ერთად, ტრადიციული პროექტებ-ის შესახებაც ისაუბრეს.

საანგარიშო შეხვედრა მხოლოდ ხელოვნების დეპარტამენტის მიერ გაწეულ საქმიანობას აჯამებდა. ვი-დრე წარმატებულ პროექტებზე დაიწყებოდა დეტალური საუბარი,

მინისტრმა შესავალი სიტყვით მი-მართა საზოგადოებას. გიორგი გა-ბაშვილმა კიდევ ერთხელ აღიარა, რომ მისი უწყება მთლიანად ენდო-ბოდა და ენდობა მათ მიერვე შექმნ-ილ კომისიებს, რომელთა გადაწე-ვეტილებითაც განხორციელდა თი-თქმის ყველა პროექტი. პროცედუ-რულად ეს ყველაფერი ამგვარად ხდება. სამინისტროში შექმნილია დეპარტამენტები. ხელოვნების დე-პარტამენტს ექვემდებარება რამ-დენიმე - თეატრის, მუსიკის, სახეი-თი ხელოვნების, ხალხური შემოქ-მედებისა და ლიტერატურის სამმა-რთველოები, სადაც სხვადასხვა სა-ხის პროგრამები სრულდება. ამ პროგრამების განხორციელებაზე კი დარგობრივი კომისიები და მრჩეველთა საბჭოები მუშაობენ. პრიორიტეტების განსაზღვრაც კო-მისიების პრეროგატივაა.

პირველი, რითაც მინისტრმა გუშინ თავი მოიწონა, წარმატებუ-ლად გაღებული სამეზავრო გრან-ტების თემა იყო: "ვისთვისაც გავე-ცით ეს გრანტები, მათი უმრავლე-სობა გრან-პრითა და პირველი პრემიით დაბრუნდა". წარმატებ-ულ პროექტად ჩაითვალა შიდასა-

გაბაშვილი საინტერესო სიახლე-ებს შეგვიპირდა ხალხური შემოქმე-დების ცენტრისგან, რომელსაც ამ-იერიდან გიორგი შიუკიშვილი უხე-ლმძღვანელებს. ეს სამსახური ამ-ჟამად 2006 წელს ბრიუსელში და-გეგმილი საკრავების ექსპოზიციი-სთვის ემზადება.

ის, რასაც ბოროტი ნენები ამბო-ბენ (როგორც მინისტრმა აღნიშნა), ლიტერატურისადმი სამინისტროს დამოკიდებულებას შეეხება. "თით-ქოს ჩვენ ლიტერატურას ვერჩით, ეს მხოლოდ ბოროტი ნენების საქ-მეა", - გიორგი გაბაშვილმა ციფრე-ბით სცადა ამ მოსაზრების გაქარ-წყლება. სამინისტრო 11 ლიტერა-ტურული გამოცემის თანადამფი-ნანსებელია. თუმცა, როგორც ამ დაფინანსების შემდეგ გამოცემუ-ლი ჟურნალების, აღმანახებისა და გაზეთების რაოდენობით მივხედ-ით, ამ პერიოდიკის (რასაკვირველ-ლია, ყველას არ ეხება) გამომცემ-ლებს ჯერჯერობით კვლავ ფულის ათვისება უკეთ ეხერხებათ, ვიდრე ფასებით ლიტერატურული მასალ-ის შერჩევა. თუმცა, გუშინ "ჩაგარ-დნილ" პროექტებზე ან შეცდომებ-ზე საუბარი საერთოდ არ ყოფილა.

საკმაოდ ხანგრძლივი შეხვედრა განხორციელებული პროექტების დეტალურ მიმოილვას ითვალისნი-ნებდა. განეული საქმიანობის მნიშე-ნელობაზე საუბრობდნენ (შეძლები-სდაგვარად, მოკლედ) ამ პროექტებ-ის ავტორებიც. მინისტრის მოადგი-ლემ, დასრულებულებთან ერთად, დაგეგმილი პროექტების მცირე ან-ონსიც შემოგვთავაზა. რაც შეეხება სამინისტროს, წლის ბოლომდე იქ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ღონის-ძიებაა დაგეგმილი. შაბათს 70-მდე ბიბლიოთეკის წარმომადგენელს თითოეული ბიბლიოთეკისთვის ათ-ასლარიანი ვაუჩერი გადაეცემა ნიგ-ნების შესაძენად. მსგავსი აქცია - სახელმწიფოს თავისი წვლილი შეე-ტანა ფონდების შესავსებად, უკანა-სკნელი 12 წლის განმავლობაში არ განხორციელებულა.

გუმინდელი მხევედრა კი ოპტი-მისტურად დასრულდა. შეციებუ-ლი სტუმარ-მასპინძლებისთვის (მინისტრის თქმით, 2005 წელს ეს დარბაზიც გათბება) სამინისტროს მიერ ნაშუქარ ჩოხებში გამოწყობი-ლმა თვითმოქმედმა კოლექტივმა (ხარაგაულიდან) "იდილამ" იმღე-რა. თამარ ქვარიანის თქმით, ამ გა-დანეწყვტილობის შესრულებაში სა-მინისტროს დარგობრივი კომისიის რჩევა არ დასჭირვებია.

დაკარგული და ოცნებად ქცეული ქალაქი

ხნელ საცავებში დამადული ფერადი ლეგენდა



პირიდა ბაბაიანი ფოტო

აღნიშნა ხელოვნებათმცოდნე ნი-ნო ზაალიშვილმა გუშინ, ქარვას-ლაში, გამოფენის გახსნაზე. ნახე-ვარწლიანი მზადების შემდეგ მათა ციციშვილისა და ნინო ჭოლოში-რის პროექტი "თბილისი ქართვე-ლის და უცხოელი მხატვრების შე-მოქმედებაში" თბილისის ისტორი-ის მუზეუმის საგამოფენო დარბა-ზებში განხორციელდა. იგი იმ მცირე გამოფენათა რიცხვს ეკუთ-ვნის, რომელთაც გამოკვეთილი კონცეფცია და სტრატეგია გააჩ-ნიათ, ეს კი ყოველთვის წარმატებ-ის საწინდარია.

გამოფენაზე წარმოდგენილია იმ ქართველი და უცხოელი მხატვ-რების ნამუშევრები, რომლებმაც თბილისი 1850-1940 წლებში დახა-ტეს. ეს არის ქრონოლოგიური სა-ზღვრები, იმ პერიოდის, როდეს-აც საქართველოში უცხოელი რე-მოქმედები, კონკრეტულად "გვიან რომანტიკოსებად" ნოდებული ევ-როპელი მხატვრები პირველად ჩა-მოდიან და სანამ გასაბჭოება ხე-ლოვნებაში გაიგდამს ფეხსებეს. ექ-სპოზიციაზე წარმოდგენილია თბილისის ისტორიისა და შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელო-ვნების მუზეუმების ფონდებში და-ცული ნამუშევრები, მათი უმრავ-ელსობა მივიწყებული და აქადდე უცნობი იყო საზოგადოებისთვის. 130 ნამუშევარს სამი დარბაზი უჭ-ირავს, რაც აადვილებს თვლნათ-ოვი დაფინახთი წარმოდგენილ მხატვართა სხვადასხვაგვარი ხე-

ლწერა და თავისებური ხედვა.

გამოფენაზე ერთიმეორეს გვე-რდით არის წარმოდგენილი პაულ ფრანკეის, რიჰარდ კარლ ზომერ-ის, გრიგოლ გაგარინის, გიგო გა-ბაშვილის, დავით გველესიანის და ვალერიან სიდამონ-ერისთავის ნამუშევრები. უცხოელ მხატვარ-ის გავრცეურობის შეგრძნებით სავსე ნახატების აქეთ-იქით ფი-როსმანის კინტოები იმზირებიან და ახელდიანის "მეიდანში" ისევე ისევ გვხვობღავს. ერთი მხრივ, სა-ცავების ობს გადარჩენილი დავით კაპაბაძის გრაფიკული სერია და მოსე თოიძის არაჩვეულებრივი ფერადოვნება, მეორე მხრივ, გუ-რიაშვილის "ქრისტინე" და სხვა მრავალი, თითქოს სიჭრელეს უნ-და ქმნიდეს, თუმცა ყოველ მათგ-ანს საერთო თემატიკა აერთიან-ებს, ყოველ მხატვარს თავის დრო-ზე მსგავსი ინტერესები გასჩენია, საყოთარი პალიტრითა და გან-წყობით დაეფქსირებინათ ძველი თბილისის აივნებიანი სახლები, ნარყილა, მეიდანი და კინტი. ეს საერთო თემა და მსგავსი ხედები მოსაბეზრებელს და დამღელს არ ხდის ექსპოზიციას, არც ერთი არ ჰგავს მეორეს, არც ერთი არ კარგავს ინდივიდუალობას, - სხვადასხვაგვარი პორიზონტები, განსხვავებულ ფერსა და შექში დანახული თბილისური ყოფა.

ექსპოზიცია საერთო მრავალ-ფერადების გარდა, იმითაცაა სა-ყურადღებო, რომ იგი ქართული

მხატვრობის იმ მნიშვნელოვან ეპო-ქას აშუქებს, როცა იგი არა მხო-ლოდ რუსული, არამედ ევროპული მხატვრობის გამოცდილებებსაც იზიარებს. ამას გარდა, საყურა-დლება ის ფაქტი, რომ გამოფენ-ის ორგანიზატორებმა, კულტურ-ის სამინისტროს ხელშეწყობით და გაერთიანებული ქართული ბანკი-სა და "ღია საზოგადოება - საქარ-თველოს" ფინანსური დახმარებ-ით, მრავალი ექსპონატის გადარ-ჩენა მოახერხეს, თუმცა ხელოვნე-ბათმცოდნე მათა ციციშვილი სი-ნაწულით აღნიშნავს, რომ წარმო-დგენილი მასალა მხოლოდ ნაწი-ლია იმისა, რაც მუზეუმთა საცა-ვეებში ინახება და რომელიც სასწ-რაფო მოვლასა და შემდგომ შეს-ნავლას საჭიროებს.

"ყოველ ქალაქს, ისევე როგ-ორც ცალკეულ ერს ან პიროვნეზ-ას, თავისი განუმეორებელი გიგე-რუფა აქვს..." ასე იწყებს მათა ცი-ციშვილი თხრობას გამოფენის გა-ხსნაზე წარმოდგენილი კატალოგ-ის წინასიტყვაობაში, რომელშიც იმის გარდა, რომ საინტერესო ტე-ქსტის ამოკითხვა შეგვიძლია, ექს-პოზიციის მრავალი ნამუშევრის მალალი ხარისხის რეპროდუქციაა შეტანილი.

დღეს რომ აქ იყოს ჩემი შარშა-ნდელი ფრანგი სტუმარი, ამ გამო-ფენაზე აუცილებლად წაეფიფნად, თუმცა ის, ამჟამად სადღაც შეუა-ულ ევროპაში საკუთარ თავჯანის მცემლებს, შესაძლოა, სწორედ თბილისში გადავლებულ ფოტოებსა და ვიდვოს უჩვენებს. ეგ არაფერი, ერთი ამბიციური ევროპელის კრი-ტიკულ მზრებას მეც გადავტან და ჩვენი თბილისიც, რომლის წარსუ-ლსა და აწმყოზე ბევრს ამბობდნენ გუშინ ქარვასლაში მისული, რომა-ნტიკამორეული თბილისელები - "ის რაც დაიკარგა იმას ვეღარ და-ვიბრუნებთ, რაც ოცნებაა რეალო-ბად ვერ იქცევა," თუმცა ამ ოცნე-ვის გადარჩენა ჯერჯერობით ხომ მაინც შეიძლება? ალბათ, თუმცა, აგერ რა ხანია, რაც ლეგენდად ქცეული და ტილოვად დარჩენი-ლი ფერადოვანი ქალაქი მუზეუმ-თა ხნელ საცავეებში მღრღნელებს ებრძვის და დღის შუქსა და მხატვ-რობაზე შეყვარებულ მეცენატებს ამაოდ ელის.

მსოფლიოში ყველაზე პოპულარული საშობაო საჩუქრები ბავშვებისთვის



ტკბილი ძილი



სტენფორდისა და ვისკონსინ-მე-დისონის უნივერსიტეტებიდან ერთობლივი ექსპერიმენტი ჩატარეს. მათ დეტალურად გამოიკვლიეს 1024 ცდისპირის მონაცემები, მათ შორის ღამის ძილის ხანგრძლივობაც. ცდისპირების სისხლის ანალიზის შეფასების დროს მეცნიერებმა ერთი აშკარა ფაქტი აღმოაჩინეს: ადამიანებს, რომელთაც ყველაზე ცოტა ხანს ძიებდა, საგრძნობლად ჰქონდათ გავრდილი გრელინის დონე, ლეპტინისა კი -

შემცირებული. მათ კი, ვისაც დიდხანს ძიებდა - პირიქით. იგივე კვლევის დროს მეცნიერებმა ისიც დაადგინეს, რომ უძიო ცდისპირები დანარჩენებისგან მეტი სხეულის მასის ინდექსით გამოირჩეოდნენ (სხეულის მასის ინდექსი, დექსი გახლავთ კილოგრამებში გაზომილი სხეულის მასის ინდექსი). ამიტომ, მეცნიერებმა დაასკვნეს, რომ უძიო ცდისპირები უფრო მეტად ზრდებიან, ვიდრე ღამის ძილის ხანგრძლივობა მათზე მეტად მაღალია.

რსიტეტში ჩატარდა მეორე კვლევა. იქაურმა ექიმებმა ასეთი სახის კვლევა ჩატარეს: მათ ზელოვნურად შეცვალეს 12 ჯანსაღი მამაკაცის ძილის მოდელი. ერთ შემთხვევაში ცდისპირებს ღამეში 4 საათის დაძინების უფლება მისცეს, მეორეში შემთხვევაში პირიქით - 10 საათი აძინეს. ექსპერიმენტი იმავე შედეგით დასრულდა - 4-საათიანი ძილის პირობებში მამაკაცების ორგანიზმში გრელინის ოდენობა მომატებული იყო, ლეპტინისა კი - დაკლებული. გარდა ამისა, თვითონ ცდისპირებიც აღიარებდნენ, რომ ცოტა ძილისას გაცილებით უფრო უძლიერდებოდათ შიმშილის გრძნობა და, ძირითადად, ეტანებოდნენ მაღალკალორიულ საკვებს. თუმცა, მეცნიერები იქვე დასძენენ, რომ მართალია, უძილობა ზედმეტწონიანობას იწვევს, მაგრამ ეს ისე არ უნდა გავიგოთ, რომ თითქმის, ბევრი ძილი ადამიანს ნაწიში დაკლებას გამოიწვევს. ამის გარკვევას ცალკე კვლევა და ექსპერიმენტები დასჭირდება. თუმცა, ასე თუ ისე, ყველამ იცის, რომ ნორმალური ხანგრძლივობით ძილი ორგანიზმს პავერით სჭირდება. ასე რომ, მშვიდად და საკმარისად იძინეთ. ღამე მშვიდობისა და ტკბილი სიზმრებისა...

ლორდი და ასი იღბლიანი მოქვდავი

ლორდი რიჩარდ ატენბორო 81 წლის არის და გასახსენებელი ბევრი აქვს: როლები ცნობილი ფილმებში, მრავალი პრიზი აღნიშნული სურათების გადაღებები... თვითონ ატენბორო კი მსოფლიო პუბლიკას ახსოვს, არა მხოლოდ როგორც რეჟისორი და მსახიობი, არამედ, როგორც ხელოვნების ნიმუშების კოლექციონერი და დამცველიც. "გარდიანისა" და "ბი ბი სი"-ს ცნობით, მალე ატენბორო საზოგადოების წინაშე სწორედ ამ უკანასკნელ, ანუ კოლექციონერის ამპლუაში ჩაერთვება. ის აპირებს, ხელოვნების ას იღბლიან მოყვარულს

ულს საკუთარ კერძო კოლექციაში დაცული პიკასოს კერამიკული ნამუშევრები დაათავსებინოს. ამ ექსკლუზიურ ექსპოზიციაზე მოხვედრა კი იღბლიანობას მართლაც ნიშნავს. ატენბოროს ხომ პიკასოს შემოქმედებას 50 წელზე მეტი ხანია, აგროვებს და უკვე 140-მდე კერამიკულ ნიმუშს ფლობს. ხელოვნებამცოდნეების თქმით კი, ატენბოროს კოლექცია ერთ-ერთი უიმეოთესია და მასში პიკასოს კერამიკის საუკეთესო ექსპონატებია თავმოყრილი.

ერთი სიტყვით, სწორედ ამ იშვიათ განსს მოხუცი ლორდი მოიპყროს, რომელიც მსოფლიოში საკუთარ სახელს, ლესტერში გამოფენს. შინ კი მხოლოდ იმ ადამიანებს შეუშვებენ, ვინც 100 გირვანქა სტერლინგს გადაიხდის, "პიკასოს მცობარი" გახდება და შინაურულ გამოფენაზე დასასწრები ძვირი ბიკასოს ყიდვით ლესტერის ხელოვნების მუზეუმის სარეკონსტრუქციო ფონდს შეენევა. ატენბორო მათ პიკასოს ნამუშევრების გარდა, მსუბუქ საუზმეს, შამპანურს, საგამოფენო კატალოგს და ლექტორს, დოქტორ მერილინ მაქკელის დაახვედრებს.

ამ ერთგვრადი ღონისძიებიდან შესული თანხა კი, როგორც მოგახსენეთ, მუზეუმის საგამოფენო ფართობის გარემონტებას მოხმარდება. "ატენბოროს გამოფენა ძალიან დიდი მნიშვნელობისაა, წარმოდგენილი ნამუშევრები უნიკალურია თავისი სიღრმითა და სრულყოფილებით", - აღნიშნავს მუზეუმის კურატორი ნიკ გორდონი და იქვე განმარტავს, რომ ატენბოროს კოლექცია შეიცავს პიკასოს სამხრეთ საფრანგეთში 1946 წლიდან შექმნილ ნამუშევრებს. იქ მხატვარი 27 წლის განმავლობაში მუშაობდა და მისთვის ჩვეულ თემებს თიხაში ძერწავდა - ხარების ბრძოლას, ადამიანებს, მითიურ და ზნეობაშუა ზღვისპირეთის სცენებს.

ნინო კაკაბაძის სკატი

შობა-ახალი წლები იწყება



პირველ რიგში, წინასწარ ყველას, ვინც დღეს ამ სვეტს წაიკითხვას და, ბუნებრივია, ვინც არ წაიკითხავს, ყველას დამდეგ 2005 წელს ვულოცავ. ბედნიერებას, ჯანმრთელობას და თქვენ გარშემო სამართლიანობას გისურვებთ.

ახლა კი. სადღესასწაულოდ საქმე არ გვაქვს, მაგრამ მოუხდებოდა ამისა, ყოველ წელს, ჩვენ და არა მხოლოდ ჩვენ, ახალი წლის დღეობას ველით და შემდეგ შეძლებისდაგვარად ვზეიმობთ კიდევ; არა მხოლოდ ახალ წელს, არამედ შობას, რომელიც ჯერ წინ უსწრებს და შემდეგ უკან მოჰყვება ახალ წელს. ვიდრე ამ ორწლიანობასა და ორშობიანობაზე მოგახსენებდეთ, ზოგადად საახალწლო ზეიმების შესახებ.

განწყობა. საზეიმო თუ სადღესასწაულო განწყობა, რთული მოსაპოვებელია. ვგულისხმობ იმას, როდესაც ადამიანი ამას ბუნებრივად განიცდი. სადღესასწაულო განწყობა იგივეა, რაც ბედნიერების შეგრძნება. ბედნიერების შეგრძნებით კი ჩვენ ბედურულ ქვეყანასა და ბედურულ ყოფაში არც ისე განვხილავთ უფროსს ვახსოვართ. თუმცა, ამგვარი პოზიტიური განცდებით სინამდვილეში არც ერთ ქვეყანაში არც ერთი სოციალური ფენის თუ მდგომარეობის ადამიანი განვხილავთ არ არის. გოეთე კი გვკარნახობდა: "დაიჭირე წამი", ეს ის წამია, იშვიათად რომ დგება და ძალიან მოკლე რომ არის ხოლმე. მაგრამ, ისევე როგორც მთელ მსოფლიოში, საქართველოშიც საახალწლო სამზადისი, მორთულ მოკაზმული ქუჩები, მალაზიები თუ სახლები ცდილობენ ბედნიერი წამები თუ წინასახალწლო შეგრძნებები გაამძაფრონ. უკანასკნელი წლების განმავლობაში ერთი უჩვეულო რამ შევნიშნე, კერძოდ კი ის, რომ ეს თავსმოხვეული, დაკანონებული საყოველთაო ზემოქმედება არ მინდა არავისზე! ყოველი და რაც დრო გადის, ჯერ ხუმრობით და ახლა სრული სერიოზულობით საკუთარ თავს კითხვას ვუსვამ - რატომ უნდა მიხაროდეს ახალი წლის დადგომა?! სავარაუდო პასუხები ამგვარია: ძველი წელი ძველ დარდებს წაიღებს, ახალი წელი ახალ ბედნიერებას მოგიტანს - რა ლოგიკით, არავინ იცის. ახალი წელი ახალი ცხოვრების მანუშეხელია - ვერც აქ ვხედავ ლოგიკას. უნდა გიხაროდეს - რატომ? ინდაურის საცივ შეჭამ, გოჭს, "ხალაღვცს", გოზინაცს - არც ერთი არ მიყვარს გოზინაცის გარდა. ყველას უხარია - ყველა ცდილობს თავი გაიხაროს. კარგი მეკვლე თუ გენვია, იქნებ გათხოვდეთ კიდევ ამ წელიწადს - მეკვლეზე? გათხოვება არ მინდა არავისზე! ყოველი ახალი წელი ახალი ცხოვრების მომასწავლებელია - ასე ყველა ორშობაზეც ამბობენ. მოკლედ, არ ვიცი, კიდევ ბევრი სავარაუდო საზეიმო გამართლებები არსებობს იმისათვის, რომ ახალი წლის დღეს თუ დღეებში სადღესასწაულო განწყობა შექმნდეს, მაგრამ საბოლოოდ შედეგი ერთია: უძილო ღამე, ამოყოლილი მუცელი, ძალით შექმნილი საზეიმო განწყობისგან გადაღლილი ადამიანები, - "გილოცავ", "მრავალს დაესწარი", "იხარე", "იდგავრძელე", "იმრავლე", კანფეტები გადაყარე, ესროლე, მერე შეჭამე, გული მოგიმსუფხვება და ა.შ. გარდა ამისა, ვირტუალური ტერორისტების შემოსევა, რომელიც ერთი თვის განმავლობაში საკმაოდ პროდუქტიულად მოღვაწეობენ. ე.წ. "ხალაუშევი" და მუდმივად შემთხვეული შესტომები თუ აფეთქებების მოლოდინი. ერთი სიტყვით ისევე, როგორც ყველა ახალი წელი, არც ეს არის სოციალური მუშევრები, მხოლოდ ერთი მახარება - ქუჩაში მოწყობილ ლეონისძიებებს ის ახალგაზრდები დავსწრებიან, რომელიც არ არიან განვხილავთ სხვადასხვა საინტერესო თუ ნაკლებად საინტერესო სანახაობებით. ეს ერთადერთი რეალური საბაბია იმისათვის, რომ ეს საზეიმო დღეები გავამართლო.

კიდევ ერთი უსიამოვნო დეტალი საახალწლო დღეებიდან: სატელევიზიო გადაცემები. ისედაც დაუზენავეი და უგემოვნო სატელევიზიო სივრცე, რომელიც თავისი უნიკალის პიკს სწორედ ზემოხსენებულ დღეებში აღწევს. დაიწყება ახლა უნიჭო ტელერეჟისორების მიერ გადაღებულ ფილმებში პოლიტიკოსების ტაკიკამასარაობა, ცეკვა, სიმღერა. ესტრადის ვარსკვლავების თემატურად შექმნილი ახალი სიმღერები, ბრჭყვიალა ტანსაცმელში გამოსვლილი წამყვანები, კარგად გათიშები, მაღლობის გეგმები, არა და, გავიზარდებოან. მოგვილოცავენ სხვადასხვა ქვეყნიდან, ძირითადად, ჯერ ისევ რუსეთიდან წამოვა მოლოცვების კასკადი და, რაც მთავარია, ყველა რეკლამა და სატელევიზიო ტიხარი ამ ერთი ამოკეცებული მელოდიით იქნება გაფორმებული: Jingle Bells, Jingle Bells, Jingle All The Way...

ყველაფერ ამას, რაც ზემოთ მოგახსენეთ, ერთი ქართულ-რუსული "სასიამოვნო" დეტალი ამშვენებს. **მრავლობითი რიტუალი:** შობა-ახალი წლები და ბედობები. უკვე ტერმინოლოგიაშიც კი გაჯდა ეს ერთობ უცნაური და არალოგიკური ტერმინების ფორმა - გილოცავ შობა-ახალ წლებს. ახალ წელს მთელი მსოფლიო აღნიშნავს, მაგრამ ქართველებმა რუსების დახმარებით მოვახერხეთ და ჩვენი ახალი წლიც იმ დავამკვიდრეთ - აბა, კიდევ ვინ ზეიმობს ახალი წლის დადგომას ან კი ქრისტეს შობას ორჯერ?! ჩვენთან, მოქვიფე საზოგადოებისათვის, ღმერთიც ორჯერ იბადება და ახალი წელიც ორჯერ დგება. ამიტომ 24 დეკემბრის ღამიდან, 16 იანვარამდე იშლება და იშლება, დღეს რომ უფროხილდებიან, ტრადიციული ქართული სუფრები, ისემა ტრადიციული სადღეგრძელოები, მერე ვინც სიმღერა იცის, მღერის, ვინც არა - იმას სცემს ვინც მღერის, იმას თუ არა, იქვე ვინმეს მიაგნებს და დაგროვილ აგრესიას გადმოანთხვს საზეიმო ვითარებაში. ეს ქართული ტრადიციული სუფრის შემადგენელი ნაწილია, რომლის გარეშეც ქიფს მთავარი მართი ეკარგება. საქიფო სოფეტის კვანძი კი მეორე დღეს იხსნება; კმაყოფილები ქიფსაც იხსენებენ და მუშტიკრისაც (მუშტიკრის საუკეთესო შემთხვევაში) "აუ, ჩემი დედა... მთვრალი ვიყავი, არ მახსოვს" - ამაყად აღნიშნავს ერთი, "კარგი რა, მაგრა ვცემე?" ვითომ შენუხებული და ნარცისული ღიმილით კითხულობს მეორე, "ჩანგალი დავარტყი ტრაკში, ტრა..." ჩხუბის დროს გოგონები კივილით და ფარული კმაყოფილებით მეგობრებს თუ ქმრებს გულშემატკივრობენ, მეორე დღეს კი დისკუსიაში ერთვებიან და ვითომ მწუხრებული და ამაყი ინტონაციით ჰყვებიან: "გიომ ისე ცემა ის ბიჭი, მე მეგონა ცოცხალი არ დარჩებოდა, ხმა აღარა მაქვს, ზედავ..."

მოკლედ, დღევანდელი დღიდან სამკვირიანი სპექტაკლი იწყება, რომელშიც მთელი ქართული მოსახლეობა მონაწილეობს, ყველას თავისი როლი აქვს, მაგრამ ამ როლის ზოგი მეტად და ზოგი ნაკლებად დამავერებლად ასრულებს. პიესის ფაბულა ცნობილია, მთავარი საკვანძო ეპიზოდებიც, სიახლეებს კი ახალი 2005 წელი შემოგვთავაზებს. ამიტომ მეც გილოცავთ, გიხაროდეთ, შობა-ახალი წლების პირველი დღეც დადგა.

ფეხბურთი

არიბო საქი მუშაოგას შეუდგა

პირველი ინტერვიუ "რეალის" საფეხბურთო დირექტორთან

სულ ახლახან მადრიდის "რეალის" საფეხბურთო დირექტორად დანიშნული არიგო საკი უკვე შეუდგა სამეფო კლუბში მოღვაწეობას. ახალ თანამდებობაზე მისი პრეზენტაცია და ახალ ამბლუაში მისი პირველი პრესკონფერენცია გუშინ გაიმართა.

- როგორია თქვენი პირველი შთაბეჭდილება ახალ გუნდზე?
- "რეალში" არიან ფეხბურთელები, რომელთა ყოლასაც ნებისმიერი გუნდი ინატრებდა. ვერ ვიმსჯელებ გუნდზე მხოლოდ ერთი თამაშის მიხედვით, თანაც, ეს მატჩი ძალიან უჩვეულო იყო ("სევილიასთან" გუშინწინდელი მატჩი - 0:1). უიღბლო საღამო იყო, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ჩვენი ფეხბურთელების უდიდესი ავტორიტეტისა და კლასის წყალობით, მსგავს მატჩებს აღარ ვიხილავთ. გუნდი ახლა ვერ თამაშობს ისე, როგორც შეუძლია და ჩვენ უნდა გავგივოთ ამის მიზეზი.
- გავრცელდა ჭორები, თითქოს "რეალის" მმართველი მწვრთნელი კარლო ანჩელოტი იქნება. მართალია?
- ჩვენ უკვე გვყავს მწვრთნელი. კლუბს სჯერა გარსია რემონის. რაიკი მეც უკვე ამ კლუბს ვეკუთვნი, რემონის მეც მჯერა. ის ყველაფერს გააკეთებს გუნდისთვის, გაავრცელებს მწვრთნელად მუშაობას და ისეთი შემადგენლობა დაყენებას, როგორსაც თავად ჩათვლის ოპტიმალურად. მე მხოლოდ ორიენტირ ვიქნები მისთვის. თუ რემონი რაიმეს მკითხავს, მე მოვუსმენ და დავეხმარები.
- არიგო საკის ვარჯიშებისას მინდორზე ვიხილავთ?
- კმილიო ბუტრაგენიომ კარგ-

- ად ჩამოაყალიბა კლუბის ახალი სტრუქტურა. მე აქ ვარ, რათა დავეხმარო და არა იმიტომ, რომ არეულობა შევიტანო. კლუბი ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რათა მწვრთნელმა და ფეხბურთელებმა კომფორტულად იგრძნონ თავი.
- როგორ ფიქრობთ, კლუბს ზამთრის სატრანსფერო ბაზარზე გასვლა დასჭირდება?
- ახლა ვერაფერს ვიტყვი, რადგან მე არ მახასიათებს საკითხები - სადმი ზედაპირული მიდგომა. უნდა შევხედოთ, დაველაპარაკოთ პრეზიდენტს... ყველა გადაწყვეტილებას შეთანხმებისა და კონსულტაციების შემდეგ მივიღებთ. ამის თაობაზე უკვე ვესაუბრე გარსია რემონსაც და ემილიოსაც. ჩვენ ყველა ვარიანტს განვიხილავთ. ცხადია, "რეალს" აქვს თავისი სიამაყე და ღირება, ჰყავს გულშემატკივრები. ჩვენ ვალდებული ვართ, კლუბის ფანტასტიკური ისტორია გავაგრძელოთ. მე ცოტა დრო მქონდა, თუმცა, უკვე ვესაუბრე პრეზიდენტს. ძალისხმევას არ დავიშურებთ, რათა ამ კლუბისთვის საუკეთესო გავაკეთოთ. მადრიდის "რეალი" მუდამ ყველაზე დიდი კლუბი იყო და კარგად თამაში ამ კლუბის გამარჯვებების ქვაკუთხედი.
- თუ სიტუაცია არ გამოსწორდება, მწვრთნელის პოსტის დაკავებას თავად გეგმავენ?
- რამდენიმე წლის წინათ მე უკვე მივიღე გადაწყვეტილება, რომ აღარასოდეს გაეზღებოდი მწვრთნელი.
- თქვენ სულ ახლახან ჩამოხვედით მადრიდში, თუმცა, აუცილებლად გეკნებათ მრავალი ჩანაფიქრი.
- ახლა ჩვენ სიტუაციის გამოსწორება გვმართებს და მეტზე არც



არიგო საკის საკუთარი შესაძლებლობების იმედს აქვს.

არაფერზე ფიქრობთ. ამჟამად სამტურნირში გამოვდივართ. გუმინდელი მატჩის შედეგმა გული დავეწყვიტა, თუმცა, ყველაფერი მშვიდად და აუღელვებლად უნდა ვაკეთოთ. მე ოპტიმისტურად ვარ განწყობილი. ჯადოქარი არ გახლავართ, მაგრამ საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებული ვარ. მჯერა ამ კლუბის და ჩვენი ფეხბურთელების. რაღაც იდეები ნამდვილად მაქვს, თუმცა, რაიმე კონკრეტულზე საუბარი ჯერ ნაადრევია. თავდაპირველად მინდა გავიგო,

თუ რატომ ვართ ასეთ სიტუაციაში. რაკი ასეთ მდგომარეობაში აღმოვჩნდით, ესე იგი, პრობლემები გვაქვს, თანაც, არა ერთი და ორი. მაგრამ მათი მოგვარება შეიძლება. გარსია რემონი და ფეხბურთელები ამ სიტუაციას თავს დაალწვენენ.

- ბევრს მიაჩნია, რომ ამ გუნდის წარმატებული ციკლი დასრულდა.
- არა მგონია. არც ის მგონია, რომ ახლანდელი ჩვენი მოთამაშეები დაბერდნენ. ისინი ნებისმიერ გუნდს დაამწვნიებდნენ. უბრალ-

ოდ, ფეხბურთელებს თავდაჯერებულობა უნდა შეემატათ და დავეხმაროთ მწვრთნელს, რათა მან მშვიდად იმუშაოს.

- როგორი რეაქცია გქონდათ, როდესაც "რეალიდან" დაგირეკეს?
- ძალიან ბედნიერი ვიყავი, ეს უდიდესი პატივია. აქ დიდი მოკრძალებით, თუმცა, დიდი სურვილით მოვდივარ. სიტუაცია რთულია, მაგრამ ჩვენ ვალდებული ვართ, ის გამოვიასწოროთ.
- მწვრთნელობას რამდენიმე

მორიენტაცს "რეალიდან" წასვლა უნდა

ინერის სატრანსფერო ფანჯრის გახსნასთან დაკავშირებით, კიდევ უფრო გაძლიერდა მადრიდის "რეალის" თავდასხმელის ფერნანდო მორინეტეს მიმართ გამოჩენილი ინტერესი. ესპანელი ფეხბურთელის ყიდვის მსურველ კლუბებს - "ლივერპულსა" და "მონაკოს", უკვე "ნიუქასლ იუნაიტედიც" შეემატა. მორინეტესმა გადაწყვეტილება უკვე მიიღო. თუმცა, საბოლოოა თუ არა იგი, ჯერ არავინ იცის.

თავდაპირველად "ლივერპულს" უნდოდა, მორინეტესი 3.5 მილიონ ფუნტად ყვიდა, შემდეგ ეს თანხა 5 მილიონამდე გაზარდა, თუმცა, მადრიდის "რეალის" ხელმძღვანელობასთან მორიგება ჯერაც ვერ მოახერხა. საუბარია არა იმაზე, რომ სამეფო გუნდს მორინეტესის დიდი თანხა არ უნდა, არამედ იმაზე, რომ ესპანელებს ინგლისელების მიერ შეთავაზებული ფასი არ აკმაყოფილებს. მადრიდის "რეალის" პრეზიდენტის ფლორენს პერესის განცხადებით, ფეხბურთელი იმ შემთხვევაში დატოვებს "ბერნაბეუს", თუ მსურველი კლუბი მათ მიერ დასახელებულ თანხას გადაიხდის. საქმე ეხება დაახლოებით 7 მილიონ ფუნტს. აკი

იმთავითვე ივარაუდა კიდევ "ლივერპულს" ხელმძღვანელობამ, რომ მორინეტესის მიმართ გაჩენილ მზარდ ინტერესს "რეალი" თავის სასარგებლოდ გამოიყენებდა და ფეხბურთელზე დაწესებულ თანხას გაზრდიდა.

"ლივერპულში" თავიდანვე დამისახურა ფორვარდის სიმპათია. მორინეტესმა რამდენიმე ხნის წინათ განაცხადა კიდევ, რომ იმ შემთხვევაში, თუ იგი "რეალიდან" წასვლას გადაწყვეტდა, მისი რჩეული გუნდი "ლივერპული" იქნებოდა, თუ, რა თქმა უნდა, კლუბი მისი ყიდვის სურვილს გამოთქვამდა.

ამ განცხადებიდან ცოტა ხნის შემდეგ ფეხბურთელმა აზრი შეიცვალა და აღნიშნა, რომ მადრიდის "რეალიდან" წასვლას არ აპირებდა. მოკლედ, მორინეტესი ყოყმანობდა. გუმინნი კი მან საჯაროდ განაცხადა, რომ "ლივერპულში" გადასვლა უნდა. ერთი მხედვით, "რეალიც" თანახმა ჩანს. ამ აზრზე კლუბის პრეზიდენტი ფლორენსი პერესი. რაც შეეხება მადრიდის "რეალის" მთავარ მწვრთნელს გარსია რემონს, იგი აცხადებს, რომ მას ურჩევნია, მორინეტესი "ბერნაბეუზე" დატოვოს, ვიდრე გაუშვას, მაგრამ იმასაც აღიარებს, რომ, ფეხბურთელის დიდი სურვილის მიუხედავად, მას ძირითად შემადგენლობაში მაინც ვერ ათამაშებს. "მორინე-



მორინეტესი ისევ წასვლაზე ფიქრობს.

ტესი პროფესიონალი ფეხბურთელია. მე მესმის, რომ მას თამაში უნდა, ისიც მესმის, რომ შეიძლება სხვა გუნდში გადავიდეს, მაგრამ მოგეხსენებათ, მოედანზე მხოლოდ თერთმეტი ფეხბურთელი თამაშობს," - განაცხადა რემონმა და დაამატა: "მორინეტესის ადგილზე რომ ვიყო, კლუბიდან ნავიდოდი".

ვარაუდობდნენ, რომ ყოფილი ლივერპულელის მაიკლ ოუენის "რე-

ალში" გადასვლა და მწვრთნელის ხოსე ანტონიო კამაჩოს კლუბიდან წასვლა (ახლანდელი მწვრთნელის სხვა გუნდში გადავიდეს, მაგრამ განსხვავებით, იგი მორინეტესს ძირითად შემადგენლობაში ათამაშებდა) ესპანელი ფორვარდის უფლებებს მნიშვნელოვნად შეამცირებდა. მართლაც, ფეხბურთელმა სათამაშო მოედნიდან სათადარიგოთა სკამზე გადაინაცვლა. სწორედ ამიტომ გაჩნდა ეჭვი, რომ

ფეხბურთელი "რეალში" თამაშზე უარს იტყოდა და სხვა გუნდში გადასვლას გადაწყვეტდა.

ფერნანდო მორინეტესი ევროპის წამყვანი კლუბებისთვის სასურველ ფეხბურთელად იქცა. "ლივერპულს" გარდა, მის მოსაპოვებლად საფეხბურთო კლუბი "მონაკოც" იბრძვის. ამ რამდენიმე დღის წინათ კი მისით დაინტერესდა ინგლისური კლუბი "ნიუქასლ იუნაი-

ტედი", რომელსაც, ალბათ, გაუჭირდება, "ლივერპულს" კონკურენცია გაუწიოს, რადგან, როგორც ზემოთ მოვახსენეთ, მორინეტესს "ლივერპულით" აღფთოვანება არაერთხელ გამოუხატავს: "ნებისმიერი ფეხბურთელი ისურვებდა "ლივერპულში" თამაშს. მათ მწვრთნელს ყოველთვის დიდ პატივს გცემდი. ბედნიერი ვარ, რომ ეს ინგლისური კლუბი ჩემით დაინტერესდა. მე თამაში მინდა, რასაც მადრიდის "რეალში" ვერ ვახერხებ. მოვითმინე და ახლაც ვითმენ, მაგრამ თუ არაფერი შეიცვლება, იანვარში ამ გუნდს აუცილებლად დეტოვებ," - განაცხადა ფეხბურთელმა რამდენიმე დღის წინათ.

უკმაყოფილებას ვერ მალავს ფეხბურთელის აგენტიც: "რეალი" მორინეტესს საკუთარი შესაძლებლობების წარმოჩენის შანსს არ აძლევს. სამაგიეროდ, მისით რამდენიმე ევროპული კლუბია დაინტერესებული".

იანვრამდე არც ისე დიდი დროა დარჩენილი. საინტერესოა, მორინგებიან თუ არა ერთმანეთთან ესპანური და ინგლისური კლუბები. ან იქნებ ფერნანდო მორინეტესმა ისევ შეიცვალოს აზრი და "ლივერპულში" ან სხვა რომელიმე გუნდის სასტარტო შემადგენლობაში თამაშს მადრიდის "რეალში" სათადარიგოთა სკამზე ჯდომა არჩიოს.

მისაეალ ბალაკი: "ნაჰრები ბანფიოგა პოზიტიური"

ოთხშაბათს გერმანიის ეროვნული ნაკრები ბანგკოკიდან მშობლიურ მიწაზე დაბრუნდა. გერმანელ ფეხბურთელებს ზამთრის არდადეგები დაეწყოთ. გერმანიის ნაკრების კაპიტანი მიხაელ ბალაკი ჟურნალ "კიკერთან" აზიური ტურნეს შესახებ საუბრობს.

- ჰერ ბალაკ, თქვენთვის 2004 წლის საფეხბურთო სეზონი ცხრადღიანი აზიური ტურნეით დასრულდა. იყავით იაპონიაში, კორეასა და ტაილანდში. რა მოგცათ ამ ტურნემ?
- ჩვენ მიზანს მივალწიეთ. თუ თვალს გადავავლებთ აზიურ ტურნეს, ვნახავთ, რომ გუნდმა არაჩვეულებრივი პრეზენტაცია გამართა. გუნდის განწყობაც საკმაოდ პოზიტიურია.
- გუნდის პოზიტიური განწყობა, რომელსაც ყველა ერთხმად აღიარებს, მოჩვენებითი ხომ არ არის?
- მოჩვენებითობაზე ლაპარაკიც ზედმეტია. ყოველთვის, როდესაც რაღაც ახალი ჩნდება, ხალხი თავისებურად იგებს და ათასნაირ ახსნას გამოუძენის ხოლმე. ნაკრების ყველა ფეხბურთელს არაჩვეულებრივი განწყობა აქვს და

ყველა ოპტიმისტურად არის განწყობილი.

- თუ არ ვცდები, უკვე ექვსი თვეა, რაც გუნდში ახალი ატმოსფერო შეიქმნა...
- ახალ მწვრთნელს ყოველთვის ახალი ატმოსფერო შეაქვს გუნდში. მთავარია, ეს კარგისკენ იყოს მიმართული. ტაილანდის ნაკრებთან თამაშისას გამოჩნდა, თუ როგორ გაახალგაზრდავდა ჩვენი ნაკრები.
- ეს შემთხვევა გამონაკლისი იყო.
- მართალი ხართ, მაგრამ ეს ძალიან კარგი იყო. ეს მატჩი წლის ბოლო მხედვრია გახლდათ, აქედან გამომდინარე, ძალიან მნიშვნელოვანიც. უკანასკნელი ექვსი თვე არაჩვეულებრივი იყო.
- მას შემდეგ, რაც ახალი მწვრთნელი მოვიდა, თქვენ გუნდის კაპიტანი გახდით და შეიცვალა თქვენი პოზიცია: უფრო კანს მარცხსმხელის ფუნქციებს ასრულებთ. რა გავლენა მოახდინა ამ ფაქტმა თქვენზე?
- რა თქმა უნდა, მხარია, რომ მენდნენ და გუნდის კაპიტნად დამნიშნეს. რაც შეეხება სათამაშო ამბულუს, მე რუდი ფიოლურის დროსაც მიწვედა წინა ხაზზე თამაში. ის ჩემგან მოითხოვდა, რომ ხშირად შევსულიყავი მეტოქის საჯარიმო-



ში. დღესაც ამას ვაკეთებ, შეტევაში თავს უკეთ ვგრძნობ.

- 2004 წლიდან რა დარჩა გერმანიის ნაკრებს?
- ჩვენ გვექონდა შანსი, ევროპის ჩემპიონები გაგმხდარიყავით, მაგრამ ეს შანსი ვერ გამოვიყენეთ - ქვეჯგუფიდანაც კი ვერ გავვიდით. ამის შემდეგ იყო ამხანაგური მატჩები, რომლებიც ძალიან კარგად ჩავატარეთ. სამწუხაროდ, მსოფლიო ჩემპიონატამდე მხოლოდ ამრთელები, რომლებსაც შეუძლიათ, თამაში საკუთარ თავზე მიიღონ. ეს გარკვეულწილად აშუსტუქებს

ჩემზე დაკისრებულ ამოცანას.

- 2004 წლიდან რა დარჩა გერმანიის ნაკრებს?
- ჩვენ გვექონდა შანსი, ევროპის ჩემპიონები გაგმხდარიყავით, მაგრამ ეს შანსი ვერ გამოვიყენეთ - ქვეჯგუფიდანაც კი ვერ გავვიდით. ამის შემდეგ იყო ამხანაგური მატჩები, რომლებიც ძალიან კარგად ჩავატარეთ. სამწუხაროდ, მსოფლიო ჩემპიონატამდე მხოლოდ ამრთელები, რომლებსაც შეუძლიათ, თამაში საკუთარ თავზე მიიღონ. ეს გარკვეულწილად აშუსტუქებს
- კორეის ნაკრებთან 1:3 დამარ-

ცხდით. მოტივაცია არ გქონდათ?

- პროფესიონალ ფეხბურთელს ყოველთვის უნდა ჰქონდეს მოტივაცია. უბრალოდ, იმ შემთხვევაში გარკვეულწილად ექსპერიმენტი ჩატარდა.
- მხედველობაში გაქვთ თამაშის სტილის შეცვლა: შეტევა და თავიდან წინ?
- შეტევაში უკანმოუხედავად წასვლა არ შეიძლება. ჩვენ იმის გამო არ ნავაგეთ, რომ დროის დიდ ნაწილს შეტევაში ვატარებდით. შეტევაზე მიტოვ გადავდივართ, რომ გამარჯვება გვინდა.
- ხომ არ ფიქრობთ, რომ შეტევას და დაცვას შორის ბალანსი უნდა მოქმედებდეს?
- რა თქმა უნდა! უკვე გითხარით, რომ ეს გასაკეთებელია, მაგრამ შეტევის გარეშე წარმატებაზე ფიქრაც კი ზედმეტია.
- მოგწონთ ახალი სტილი?
- ძალიან. ეს შეესაბამება ჩემი და ჩემი თანაგუნდელების თამაშის სტილს.
- რა დეფიციტს განიცდის გერმანიის ნაკრები?
- დეფიციტს? ზუსტად არ ვიცი, ამას დეფიციტი ჰქვია თუ არა, მაგრამ ერთადერთი, რაც ჩვენ გვაკლია, ის არის, რომ ვერ გავრკვეულვართ, რა კონდიციებს მივალწი-

ეთ. გუნდში არიან ახალი ფეხბურთელები, რომელთა მოტივაციაც უსაზღვროა. ეს ძალიან კარგია ახალგაზრდა ფეხბურთელისთვის, მაგრამ ზომაზე მეტი არაფერი ვარცხ. მათ უნდა შეძლონ და მწვრთნელს დაანახონ თავიანთი სტაბილური კარგი თამაში.

- ახალგაზრდა ფეხბურთელებს შორის თუ არის ისეთი, რომელმაც თქვენი ყურადღება მიიპყრო?
- რობერტ ჰუტი და პერ მერტეზატერი ძალიან კარგად თამაშობენ უკანა ხაზზე. ეს გამაოგნებელია. დანარჩენებიც კარგად შეძენენ ნაკრებს. მართალია, ცოტას ნერვოზობენ, მაგრამ ამის გარეშე არ შეიძლება, ბოლოს და ბოლოს, ეს ხომ გერმანიის ნაკრებია, მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი გუნდი.
- როგორც კაპიტანი, 2005 წლისთვის რა როლს უნდა წარმოთქვამდით?
- ძალიან მნიშვნელოვანია ამხანაგური მატჩების მაღალ დონეზე ჩატარება. ამ შეხვედრებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი არგუმენთა სთან და იტალიასთან მატჩები მგონია. ძალიან კარგი იქნება, თუ რომელიმეს, ანდა სულაც ორივეს მოუვებთ.

ორი უკრანია, სამი ჰედიანი

ვახტანგ გურული

უკრაინაში მიმდინარე მოვლენები და 26 დეკემბრის არეულობები მსოფლიოში ყურადღების ცენტრშია. მთელი რიგი და გასაგები მიზეზების გამო ამ მოვლენებისადმი განსაკუთრებულ ინტერესს საკარნეჯო იჩენს. ამიტომ, ვფიქრობთ, მკითხველისთვის ინტერესმოკლებული არ იქნება, როგორც ყალბი დედა და უკრაინის სახელმწიფო.

თანამედროვე უკრაინის სახელმწიფოს საზღვრები საუკუნეების მანძილზე ყალიბდებოდა. ვიდრე დღევანდელ სახეს მიიღებდა, მან ბევრი ცვლილება განიცადა. უკრაინა ხშირად იყო გაყოფილი დიდი სახელმწიფოს შორის. საბოლოოდ უკრაინელმა ერმა შეძლო ეროვნული სახელმწიფოებრიობის შექმნა და ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნება.

კიევ-პერიოდის მოხასხსრები ბერ-ნესტორის მიერ XII საუკუნის დამდეგს შედგენილი ძველი რუსული მართლმადიდებლური წიგნების კრებული „გარდასული წელთა ამბავი“ (1066) დასაყდრების განსახლების ტერიტორიებზე დაიბეჭდა. უზარმაზარ სივრცეს რომელსაც დასავლეთიდან საზღვრავდა კარპატების მთები, ჩრდილო-დასავლეთიდან ჩუდის, ლადოგისა და ირენკის ტბები, სამხრეთიდან – შავი ზღვა. დამოსახლეთის საზღვრის დადგენა მატიაშის მიხედვით ძნელდება, მაგრამ, ცხადია, რომ ამ საზღვრის მიღმა რჩებოდა მდინარეები, ჩრდილოეთის დევნი, ვიატკა, კამა-ბულგის შუა და ქვემო ნეილი, დონის შუა და ქვემო ნეილი, ყირიმის ნახევარკუნძული და აზოვისპირეთი. სწორედ ამ საზღვრებში ჩამოყალიბდა IX საუკუნის მეორე ნახევარში ძველსლავური საბელმწიფო - **კივის რუსეთი**.

XII საუკუნეში კიევის რუსეთის სახელმწიფო ცალკეულ სამთავროებად დაიშალა. დაშლის შემდეგ თანამედროვე უკრაინის ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა კიევის, ჩერნიგოვის, პერიასლავლის, გალიჩისა და ვოლინის სამთავროები. XII საუკუნეში კიევის რუსეთის სახელმწიფო ცალკეულ სამთავროებად დაიშალა. დაშლის შემდეგ თანამედროვე უკრაინის ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა კიევის, ჩერნიგოვის, პერიასლავლის, გალიჩისა და ვოლინის სამთავროები.

კუთხის შუა ხანებისათვის კიევის რუსეთის დამოღის შედეგად აღმოცენებული სამთავროები მონღოლებმა დაიპყრეს. მიწილელად იქცია, როგორც 1240 წელს მონღოლებმა კიევი არღეს, ხოლო 1242 წლისათვის კიევის სამხრეთ-დასავლეთ ტერიტორიას და იპყრეს, მათი ბატონობა თანამედროვე უკრაინის სახელმწიფოს ტერიტორიაზე მტკიცე და ხანგრძლივ არა ყოფილა. მიწილელს თანამედროვე უკრაინის, ასევე თანამედროვე ბელარუსის ტერიტორიის მატყვევასათვის ბრძოლაში ძლიერი მონიძნაღმდეგე გამოჰუნდა **ლიტვის დიდი სამთავროს**, ხოლო ცოტა მოგვიანებით, **ლიტვა-პოლონეთის სახელმწიფოს** სახით.

ლოტვის დიდი სამთავრო XIV საუკუნის დამდეგისათვის უკვე ძლიერ სახელმწიფოს წარმოადგენდა. კიევის რუსეთის დამხამ ცალკეულ სამთავროებად ლოტვის დიდ სამთავროს აგრესიული გეგმების განხორციელება გაუძლიერა. XIV საუკუნის დამდეგისათვის ლოტვის დიდი სამთავროს შემადგენლობაში ამოჩნდა მთამედროვე უკრაინის დიდი ტერიტორია - ქალაქები: კიევი, ჩერნიგოვი, კლადიბორო, ვიშკოვოდა, ვიტომირი, აზუ ე. წ. **კიევიშჩინა, პოდოლშჩინა, ვოლინშჩინა, ჩერნიგოვშჩინა** ლოტვის დიდი სამთავროს ტერიტორიის უდიდეს ნაწილს (დაახლოებით ცხრა მეთათვის) ყოფილი კიევის რუსეთის (დღევანდელი ბელარუსის, უკრაინისა და რუსეთის) ტერიტორიები შეადგენდა. საისტერესკო სურათი შეიქმნა ვინიკური თვალსაზრისითაც. ლიტველები უმცირესობაში ამოჩნდნენ. სახელმწიფოს მოსახლეობის უდიდეს ნაწილს სლავები (უკრაინელები, ბელარუსები და რუსები) შეადგენდნენ, სლავთაგან კი ესენი რუსულ იყო. საინტერესოა ისიც, რომ ლოტვის დიდ სამთავროში ძველი რუსული სამართალი მოქმედებდა, უცხოელთა დარჩა ძველი რუსული საგადასახადო სისტემაც. მართლმადიდებლობა ურყევად იქნა შენარჩუნებული ყოფილი კიევის რუსეთის ტერიტორიაზე, უფრო მეტიც, მართლმადიდებლობა გავრცელდა საკუთრივ ლიტვის ტერიტორიაზე, მათ შორის, არისტოკრატიაშიც.

ვითარება მკვეთრად გაუარესდა დიდი მთავრის ტახტზე **ივანე IV (1377-1392)** ასეულის შემდეგ. ლიტვის დიდი სამთავროში დაიწყო ხელისუფლების ცენტრალიზაცია. შესამჩნევად გაძლიერდა კათოლიციზმის პოპიუარიზაცია.

თანამედროვე უკრაინის სამხრეთ-დასავლეთ ტერიტორიაზე პრეტენზიას აცხადებდა პოლონეთი. **ტანეფო. XIV-XV** საუკუნეებში პოლონეთის სამეფოს შემადგენლობაში აღმოჩნდა თანამედროვე უკრაინის ტერიტორიის დიდი ნაწილი: კიევი, ვოლინია, ვიშეგრადი, ჩერნიგოვ, ნოვგოროდ-სევერსკი, პერემიშ-

